წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | შაბათი, 5 მარტი 1916 წ. | № 51

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. **კვეუჩის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

კნ. ელისაბედ თარხან-მოურავი, თამარ ვასილის ასული და მიხეილ იულიანის ძე პოროხოვსკები, კნ. ეკატერინე ვასილის ასული და თ-დი ირაკლი ზაქარიას ძე მაჩაბელი, ელენე ვასილის ასული და კარლ გოტლიბას ძე ფონ-ბრანდტები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა ძმა, დანარჩენთა მამა და სიმამრი

## თ-დი ვასილი ალექსანდრეს ძე
## თარხან-მოურავი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე სოფ. ახალ-ქალაქში (გორის მაზრა). გამოსვენება დღეს, 5 მარტს, დილის 10 საათზე, სოფ. ერთაწმინდაში საგვარეულო აკლდამაში. 118

---

## საგალანტერიო მაღაზია
## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
## ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**
**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**
(101—წ.)

---

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**
(102—წ.)

---

## სასტუმრო „ავრორა“

**ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.**
**უალრესი სიფაქიზე.** ელექტრონის განათება
**ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად**
ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.
**თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.**

## სასტუმროსთან მოწყობილია
## სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

**თბილისი,** მიხეილის ქუჩა № 5. **ტელეფონი** 12—85.
(წ.—)

---

## სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

**ორშაბათს 7 მარტს 1916 წ.**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ტრაღედია ვ. შექსპირისა

## ო ტ ე ლ ო

ტრაღ. 5 მოქ. და 9 სურ. თარ. ივ. მაჩაბლისა.
ოტელოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი.
**მონაწილეობას მიიღებენ:** ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., გუნია ვალერიან, გომელაური ზ., იმედაშვილი ალ. იმხნელი გიორგი, თარალაშვილი ი., მამფორია ილ. ჟივიძე იოს., სარაული მ. ვარვარიძე ვ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პ., ჩაგუნავა ნ.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
რეჟისორი **კ. ანდრონიკაშვილი.**
ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
მორიგი წევრი გამგეობისა: **ი. გედევანიშვილი.**
**ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან. 50 კ.-დე**".
(3—64—2)

---

## ქ. ბაქოში
## ღვინით ვაჭრობა
## „მელაანი“
## თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**
(112—წ.)

---

## შეშის საწყობი
## ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

---

პირველი წელი — პირველი წელი

**„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან**
**სამ თვეში ერთხელ გამოვა**

## კაზმული და სამხატვრო კრებული
## „მ ე რ ა ნ ი“

**კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი.** ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
**გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.**

---

## ქართველ ქალთა ამხანაგობის
## საზოგადო კრება

**დანიშნულია კვირას, 6 მარტს 12 საათზე საზოგადოების ჭრა-კერვის სადგომში გაბაანთ ქუჩა № 3.**

**კრების განსახილველია შემდეგი საგნები:** 1) შემოსავალ-გასავლის დამტკიცება 1914 წ. ენკენ. 1915 წ. ენკენისთვემდე. 2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1915 წ. ენკენ. 1916 წ. ენკენისთვემდე. 3) საზოგადოების გამგეობის 3 წევრის არჩევა, სარევიზიო კომისიის 2 წევრის და არჩევა ქალთა ამხანაგობის წევრებისა. ქართულ კულტურულ კავშირში მონაწილეობის მისაღებად და სხ. მიმდინარე საქმეებისა.
(3—2)

---

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

**მიხაილოვის პროსპექტი № 129**

## შაბათს, 5 მარტს, სიმებიანი ორკესტრი
## კვირას, 6 მარტს, სინემატოგრაფი

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
**სტუმრები იხდიან ჩვეულებრივ ფასს.**

---

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

---

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

**ე ქ ი მ ი**
## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**—პროვიზორის ახვლედიანისა—**

---

# ო მ ი ს ა მ ბ ე ბ ი

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 2 მარტი. **ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი.** კუნძულ დალენის რაიონში ძლიერი საარტილერიო სროლაა. დვინსკთან ილლუქსტისა და პონევოჟეს რკინის გზაზე გერმანელებმა ახალი ჯურის ყუმბარები ჩამოჰყარეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალთა დევნის დროს კვლავ ტყვეები ხელთ იგდეს რუსებმა, მათ შორის 19 აფიცერია, 2 ექიმი და 250 ასკერი. ამასთანავე დავლად დარჩათ ერთი პოლკის დროშა.

---

**პარიზი,** 2 მარტი. საღამოთი მოსული ოფიციალი ცნობა. შამპანში იერიში მივიტანეთ გერმანელთა პოზიციებზე სენ-სუპლეს სამხრეთით. იერიშის შემდეგ ხელთ ვიგდეთ მტრის თხრილი და რამდენიმე ტყვე. მაასის დასავლეთით სროლა ოდნავ შენელდა, უფრო ეს ითქმის ბეტანკურ-კიუმიერის ფრონტზე, სადაც ქვეითი ჯარს იერიშები აღარ განუმეორებია. მარჯვენა ნაპირზე საკმაოდ ძლიერი საარტილერიო სროლა იყო ვო-დამლუს რაიონში. ჩვენი მოწინავე რაზმები რამდენჯერმე ხელით სასროლი ყუმბარებით გადაერიენ ბრძოლაში ფორტ ვოს აღმოსავლეთ ფერდობებზე.

ვევრში საარტილერიო სროლა არ შეწყვეტილა მაასის მწვერვალთა ძირს ჩვენი არტილერია მარჯვედ იბრძოდა მთელ ფრონტის გასწვრივ, განსაკუთრებით ვარვილის ტყის აღმოსავლეთით, სადაც გავფანტეთ მტრის საბარგველები. ანონსელის წისქვილთან, ფრენ-ვერვ ონის ჩრდილოეთით აფეთქება გამოვიწვიეთ გერმანელთა ბატარეებთან.

**პარიზი,** 2 მარტი. ბრაზილიიდან იუწყებიან, რომ ჰამბურგ-სამხრეთ ამერიკის კამპანიის გემი „აზუნიონი“, რომელმაც 1914 წელს თავი შეაფარა პირის ნავთსადგურს, დღეს შეეცადა გამოქცევას, მაგრამ არტილერიის ცეცხლი რომ დაადევნეს, ისევ უკან გამობრუნდაო.

**პარიზი,** 2 მარტი. მოლოდინის წინააღმდეგ მთელმა დღემ ვერდენთან წყნარად ჩაიარა. ამნაირად გერმანელთა სასტიკი იერიში მაასის მარცხენა ნაპირზე ხანმოკლე იყო, მათ აღარ განუმეორებიათ იერიშები მორტომზე. ჩვენ ხიშტით კონტრ-იერიში მივიტანეთ და რამდენიმე თხრილი დავიბრუნეთ, რაც გუშინ მორტომთან დავკარგეთ. ღამით დაწყებული ძლიერი არტილერიის ცეცხლი მხოლოდ დღისით შენელდა. ქვეითი ჯარებსაც აღარ მოუტანიათ იერიშები. ვოსთან და ვევრის რაიონში გერმანელებმა მოქმედებმა გააძლიერეს. შეუძლებელია გერმანელთა მთავარ შტაბის გეგმას მიხვდეს ადამიანი. როგორც სჩანს, ფრანგთა წინააღმდეგობით უნდა აღელვებულები იყვნენ. ფაქტი ისაა, რომ კრონპრინცის არმია მაინც და მაინც უზრუნველყოფილი არ უნდა იყოს. ეს არც ისე გასაკვირველია. ვერდენთან ბრძოლამ 24 დღე გასტანა, რომლის დროსაც გერმანელები ზეკაცურ ენერგიას ჰხარჯავენ.

**ლონდონი,** 3 მარტი. მესოპოტამიიდან ოფიციალად იუწყებიან: 28 თებერვალს ინგლისელთა ქვეითი ჯარმა იერიში მიიტანა ტიგროსთან ოსმალთა პოზიციებზე. ხიშტებით ზოგიერთი ამოჰხოცა და 50 კაცი დაატყვევა.

**ქაირი,** 2 მარტი. ოფიციალი უწყება. გუშინ გენერალმა პეიტონმა სოლუმი დაიჭირა; მტერმა მხოლოდ სუსტი წინააღმდეგობა გასწია და ჯერ კიდევ ორშაბათს ააფეთქა საომარი მასალების საწყობები. ინგლისის ჯავშნიანი ავტომობილები და ცხენოსანთა რაზმი მოპირდაპირეთ დაედევნა, წაართვა ცხრა ტყვიის მფრქვეველი და ტყვედ 28 კაცი წამოიყვანა; ამათ შორის სამი აფიცერია. მტრის ბანაკი ინგლისელთა ხელშია. ინგლისელებმა ხელთ იგდეს ზარბაზნის დიდძალი ყუმბარა და გაანადგურეს თოფის აუარებელი პატრონაც.

**ლონდონი,** 2 მარტი. აღმოსავლეთ აფრიკიდან გენერალ სმეტსი იუწყება: 24 თებერვალს ინგლისელებმა მოში დაიჭირეს და გასწიეს ორუშის მიმართულებით. გერმანელები უკან დახევის დროს ტანგოსის რკინის გზით სარგებლობენ. ინგლისელები სისწრაფით ვერ სდევნიან მოპირდაპირეთ, რადგანაც აუარებელი მდინარე მათ გზას ულობავს. დამატებითი ცნობაა, რომ კიტოვის გორაკზე კიდევ 70 მოკლული მეომარი აღმოუჩენიათ. კიტოვის ახლო მახლოც მოკლულთა დიდძალი რიცხვი აღმოჩნდა. ინგლისელებს უპოვნიათ ერთი ზარბაზანი და 3 ტყვიისმფრქვეველი.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ბრძოლა კორბოს ტყეში.**

აფიცერი, რომელიც მონაწილეობას იღებდა, პოლკოვნიკ დრიანის ბრძანებლობის ქვეშ, ერთს უშესანიშნავეს ბრძოლაში ვერდენთან, კორბოს ტყეში, მოგვითხრობს შემდეგს:

— სრული 7 საათი იქნებოდა 7 თებერვალს, როდესაც გერმანელებმა თავიანთი ძლიერი ზარბაზნების სროლით, მიწასთან გაასწორეს ჩვენი საუკეთესო სიმაგრენი. ჩვენი ჯარი მედგრად იბრძოდა ტყვია წამლის ქვეშ. მიუხედავად ამისა ჩვენი საუკეთესო სიმაგრენი განადგურებული იყო. პოლკოვნიკ დრიანის თანაშემწე დაიჭრა, მასთან ბევრი ჯარი დაიღუპა. მალე გერმანელთა არტილერიამ ცეცხლი უკანა წყებაში გადაიტანა. გერმანელები მიაწვნენ გომონს და მალე ჩვენ ტრანშეებში გაჩნდნენ, სადაც შესაზარი ბრძოლა დაიწყო ბომბებით ხელში. 9 თებერვალს, 12 საათზე კვლავ მტერმა განაახლა არტილერიით ბრძოლა და გომონის ტყის წინ იწყეს სვლა კორბოს ტყისაკენ. შეიქნა საშინელი ბრძოლა. ჩვენი ლეიტენანტი ერთი როტის თანხლებით გადაელობა მტერს წინ, მაგრამ განგმირული დაეცა ძირს. სარდლობა მისმა ამხანაგმა იკისრა, მაგრამ მალე დაჭრილი ძირს დაეცა.

დარჩენილი მცირედი ჯგუფი ჩვენი ჯარისა მედგრად აჩერებდა მტერს.

3 საათ. 30 წ. ჩვენი მდგომარეობა კრიტიკული გახდა. მტერი რკალს ავიწროვებდა. ამ დროს დრიანი ემუსაიფებოდა თანაშემწეებს და მეც მიმიწვიეს.

— რამდენიმე წუთიღა დაგვრჩა, ან სიკვდილი მოგველის, ან ტყვედ ჩავარდნა, სთქვა დრიანმა და ჩაფიქრდა. —მცირედი ნაწილი ჩვენ გმირთა მაინც გავანთავისუფლოდ. რაც შესაძლებელი იყო: არხივები, გეგმები და სხვა მოვსპეთ, რომ მტერს არ ესარგებლნა. ჩვენ დავიხიეთ უკან და ბომონთან შევუერთდით ჩვენ ჯარს. პოლკოვნიკი დრიანი ბოლომდე თხრილებში დარჩა, რომ ჯარის უკან დახევისათვის თვალ ყური ედევნა. ღამით თხრილში იჯდა და ელოდა ჯოჯოხეთურ ცეცხლის განელებას. თხრილების დატოვებისათანავე, დავცალეთ 15 ათასი ტყვიისმფრქვეველის ტყვია. დასასრულ მთხრობელი აღნიშნავს, რომ კორბოსთან გერმანელებმა დაჰკარგეს 2000 კაცი.

**ვერდენი.**

ვერდენის ბრძოლის გამო კ. შუმსკი გაიხსენებს ვერდენის წარსულსაც „ვერდენთან გაჭრა გერმანელებს მოლტკეს დროსვე ჰქონდათ გათვალისწინებული. ვერდენის აღებით გერმანელები მაშინ პარიზს მოსწყვეტდნენ სამხრეთ საფრანგეთისაგან. საფრანგეთის სამხრეთისაკენ კი მაინც ვერ გაიჭრებოდნენ, რადგანაც აქეთ სიმაგრეების მთელი რიგი გადაელობებოდათ წინ. ვერდენი რაიმე განცალკევებული სიმაგრე როდია. ეს არის ერთ-ერთი სიმაგრე სიმაგრეთა მიდამოებისა, სადაც მდებარეობს სიმაგრეები: ტული, ეპინალი, ბელფორი და სხვანი. ეს სიმაგრეები გზას ულობავენ გერმანეთიდან საფრანგეთისაკენ მიმავალს გზებს. საფრანგეთის საზღვრები ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ: ჩრდილოეთის საზღვარი ბელგიასა და ლუქსემბურგს ექვრის, ჩრდილოეთის ზღვიდან ვერდენის მიდამოებამდე.

აღმოსავლეთის საზღვრად შეიძლება ჩაითვალოს ის ნაწილი, რომელიც გერმანეთის მომიჯნავეა ე. ი. ვერდენიდან (მეცის პირდაპირ) შვეიცარიამდე. 70 წელს, როდესაც საფრანგეთმა ელზასლორენი დაჰკარგა, საფრანგეთს მეტად არასახეირო სტრატეგიული საზღვარი დაუტოვა გერმანეთმა.

გერმანეთ-საფრანგეთის მიჯნად დაიდო მდ. მაასი და ვოგეზების მთები. ვოგეზების შემოვლა შეიძლება მეციდან, თუმცა გერმანელებს შვეიცარიიდანაც შეუძლიანთ შესევა. მაასი მეტად პატარა მდინარეა და დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენს მოპირდაპირისათვის.

მაასსაც შეუძლიანთ გერმანელებმა შემოუარონ მიულჰაუზენიდან და დიჟონისაკენ გაჭრით პარიზის მოწყვეტა სამხრეთ საფრანგეთიდან.

ამისათვის 70 წლის მერე ფრანგებმა ააგეს ხელოვნური სიმაგრები, აღმოსავლეთ საფრანგეთში ვერდენი, ტული, ეპინალი და ბელფორი.

მეციდან პარიზისაკენ მიმავალ გზაზე ამართული ვერდენის სიმაგრეები მაასის ორსავ ნაპირას. ეს სიმაგრეები სტრატეგიულად უკავშირდება მარცხნივ არგონის ტყეს, მარჯნივ აპრემონის ტყეს, მაასის ნაპირებზე. ამ გვარად გაჭიმულია სიმაგრები: ვერდენი-აპრემონის ტყე-ტული. ვერდენ-ტულის სიმაგრეები 80 ვერსზეა გაჭიმული აძლიერებს მაასისა და მოზელის სათავის მიდამოებს და გზად ელობება მეციდან და სტრასბურგიდან პარიზისაკენ მიმავალ გზას. ტულის სამხრეთით მდებარეობს ეპინალის სიმაგრე. ამ მიდამოს „მოზელის ბჭეს“ უწოდებენ. ეპინალიდან შვეიცარიის მიჯნებამდე მთელი წყებაა სიმაგრეებისა, რომელთა შორის ყველაზე უძლიერესი ბელფორის სიმაგრეა. ბელფორის სიმაგრე ისეა მოწყობილი, რომ თუ ვინიცობაა გერმანელებმა შვეიცარიის ნეიტრალობა დაარღვია, ამ მხრივ ზურგიდან ვერ მოუვლიან.

სწორედ ამ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ გერმანელებმა მხარი აუქციეს ამ სიმაგრეებს და საფრანგეთს ბელგიის მხრიდან შეესივნენ, რადგანაც ჩრდილოეთის საზღვრებზე უფრო სუსტი სიმაგრეები ჰქონდათ ფრანგებს, ლილი და მოჟი.

60 წელს მოლტკემ საფრანგეთში შესევის გეგმა ისე შეიმუშავა, რომ ბელგიისა და შვეიცარიის ნეიტრალობას არ არღვევდა. მაგრამ რადგანაც ძალად გაამაგრეს აღმოსავლეთის საზღვრები, ეს თავისთავად გადაიჭრა საკითხი, ბელგიის ნეიტრალობის დარღვევისა.

ეხლა გერმანელების მიზანი ვერდენთან ბრძოლისა არის არა მარტო ვერდენის აღება, არამედ ხელში ჩაგდება აღმოსავლეთის საზღვარზე მდებარე სიმაგრეებისა ვერდენ-ტულ-ეპინალ-ბელფორი. თუ ეს მოხდა, მაშინ ფრანგებმა უნდა დაიხიონ ლანგრ-ბეზანსონის სიმაგრეებისაკენ, რომელიც სდარაჯობს საფრანგეთის სამხრეთ ნაწილს და პარიზს. ეს სიმაგრეები ნაკლებ სემკვიდრეს წარმოადგენს პირველებთან შედარებით.

**ალბანეთში.**

ალბანეთის იმ ნაწილში, რომელიც გერმანელებმა დაიპყრეს ქალაქებს ლათინური სახელები შეუცვალეს და ძველი ალბანური სახელები დაარქვეს. მაგ. ალესიოს უწოდეს ლეში, დურაცოს—დრაჩო, სკუტარის—შკოდარი და სხვა.

**გერმანელები გევგელში.**

გერმანელებს გევგელის მიდამოებში ჯარი გადმოჰყავთ. მოუყვანიათ ერთი პოლკი, სამსაც მალე მოიყვანენ.

# ბრძოლის ველზე

ვერდენის ოპერაციის მესამე პერიოდი უცნაურად შეჩერდა. ორმაგის ძალოვნებით დაწყებული საარტილერიო ცეცხლი დიდი ყალიბის ზარბაზნებიდან მთელი დღით შენელდა. მაგრამ ეს უცნაურობა უცნაურობად აღარ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ახლოვდება გარდამწყვეტი ნაბიჯი და თუ ყოველისფერი მოზომილი არ არის, შესაძლებელია გრანდიოზული ოპერაცია სხეულის კატასტროფით დასრულდეს. მით უმეტეს ეს უნდა ითქვას დღევანდელ ბრძოლის ობიექტზე ბეტანკურ-კიუმერის მწვერვალებზე, მაასის მარცხენა ნაპირზე, რომელნიც ერთგვარ თერმოპილის კარს მოგვაგონებენ მდებარეობით. აღება ამ კარისა შემდეგ წინსვლას უზრუნველსა ჰყოფს. თვით ფრანგთა ჯარებიც იძულებული გახდებიან ვერდენი დასცალონ, თუ ციხე იგი მართლა აღარ ციხეობს და მის მთავარი ბურჯებიდან, როგორც ფრანგული პრესა ირწმუნებოდა ერთ დროს, მართლა იარაღ აყრილია.

სამაგიეროდ მოქმედება გაცხოველდა აღმოსავლეთ სექტორში, სახელდობრ ფორტ ვოს გარშემო, სადაც 25 თებერვალს გერმანელებმა შეაჩერეს შეტევა. როგორც დეპეშებიდან სჩანს, ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე მდგომარეობა სერიოზულ სახეს იღებს. მოიერიშეთა და მეციხოვნეთა შორის ხელჩართული ბრძოლა მოხდარა.

საზოგადოდ სურათი ვერდენის ოპერაციისა გუშინდელ დღეს სიცხოველეს მოკლებულია, თუმცა ოპერაციაზე ხელის აღების ნიშნები ჯერ არა სჩანს და მოლოდინი უნდა გვქონდეს, ასე სწრაფად და მოულოდნელად არ შეჩერდება ის საქმე, რამაც მთელი მსოფლიო აახმაურა.

მეორე ხარისხოვან ასპარეზიდან აღსანიშნავია ვალონა, დეპეშათა სიტყვით ვალონიდან მცხოვრებნი გაუხიზნიათ. თუ დავუმატებთ წინასწარ ბუნდოვან მოსულ ცნობებს, მოლოდინი უნდა გვქონდეს, რომ მალე კევესის არმია იტალეთისას და სერბთა ნაშთისას შეეტაკება.

X.

## თბილისი, 5 მარტი.

**მემარჯვენეთა გამოსვლა**

კარპატებში დამარცხება და მთელი პოლონეთის დაკარგვა ღრმად ჩასწვდა გულში მთელს რუსეთს და დიდი დისონანსიც შეიტანა რუსეთის საზოგადოებრივ განწყობილებასა და აზროვნებაში.

ამ საქვეყნო უბედურებამ ერთს წრეში თავდაცვის გრძნობა გაამახვილა და დიდი საორგანიზაციო მუშაობა დაატრიალა, გამარჯვების მოპოების მიზნით. მეორე წრეს პირიქით გული გაუ რაზა და სულ სხვა ფიქრები და ზრახვები აღუძრა. ეს წრე მემარჯვენეთა წრედ აღმოჩნდა; წინააღმდეგ პირველი წრისა, რომელიც აშკარად, დღის სინათლეზე მოქმედობდა და თავის ძალღონეს არ ზოგავდა დასახულ კეთილშობილ მიზნის მისაღწევად, მეორე წრე თავის ზრახვებს ერთგვარ იდუმალებაში ახვევდა. ყოველთვის, როდესაც ამ ზრახვებს გარედ გამოუჟონავს, რუსეთის საზოგადოებაში ალშფოთება და გულისწყრომა გამოუწვევია.

პრესაში, თუ სახელმწიფო სათათბიროში არა ერთჯელ დაუგმიათ ამ წრის საქციელი. მოღალატეობა და გერმანელების მომხრეობა არა ერთჯელ დაუწამებიათ მისთვის. დროთა სვლაში თითეული წრის განზრახვა და მისწრაფება გამოირკვა და განმტკიცდა. რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში მრავალი კრება გამართეს მემარჯვენეებმა. ყველაზედ საგულისხმიერო და იმპოზანტი იყო სრულიად რუსეთის მემარჯვენეთა ყრილობა, რომელიც შარშან შემოდგომაზე პეტროგრადში გაიმართა და რომელსაც დაესწრო სამი ყოფილი მინისტრი და ერთი ახალიც. ამ უკანასკნელმა მთავრობის სახელით მემარჯვენეთ ყრილობის დღე მიულოცა და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა. სჩანს, ამგვარის მუშაობით მემარჯვენეები ჯეროვანად დარაზმულან და მომზადებულან, სჩანს მათ მოუხდენიათ მთელი თავიანთი ძალის მობილიზაცია და იმ ძლიერებამდე მიუღწევიათ, როდესაც საკუთარი გულის ნადების საქვეყნოდ გამოტანა უკვე არ ეკრძალებათ. მემარჯვენეებმა აშკარად განაცხადეს, იქნებ ისა სჯობდეს რომ გერმანელებთან ძმურად გავათავოთ საქმეო. სახელმწიფო სათათბიროში დეპუტატმა—სავენკომ მოიყვანა მემარჯვენეთა შემდეგი წერილობითი განცხადება:

„დამშვიდებულის სინიდისით ვერ ვერ ვიტყვით, რუსის ხალხს ომის გაგრძელება სწადდეს.

ქვეყანა არ მოქანცულა, მაგრამ წინანდელის აღფრთოვანებით აღგზნებული არ არის. ქვეყანა შორსაა იმ აზრისაგან რომ გერმანელების მოთხოვნებს მონურად დაემორჩილოს, მაგრამ უარს არ იტყვის თუ გერმანიასთან სიყვარულითა და თანხმობით გაათავებს საქმესო. ჩვენ რუსეთისა გვწამს, მაგრამ არაფერი გვწამს გუშინდელი შინაური მტრებისა, ვიცით, გარეშე მტერი რომ მოქანცულია და უძლიერეს მტერთან შერიგებას ლამობს. ჩვენ გაცნობილი ვართ მტრის წინადადებებთან, რომელიც მოწმობს გერმანეთის იმპერიის სრულს გამოყოფას და დაუძლურებას. თუ არა გვაქვს უცილობელი საბუთები რომ საბოლოო გამარჯვება დაგვრჩება, ჩვენი სახელმწიფო კაცების მოვალეობაა დაიხსნან შემდგომი განსაცდელისაგან ქვეყნის მოთმინება, რომელიც ლამის არის გასწყდეს კიდეცა“.

ამ განცხადებას მემარცხენეთა ადგილიდან სამართლიანად შესძახეს: „სირცხვილი რუსებსო“.

შეიძლება მემარჯვენეებს ფარული მოკავშირენიც ჰყავდეს ამ გვარ აზრისა და პოზიციის დასაცავად. და ისინი ამ შემთხვევაში უფრო სხვისი პირითაც ლაპარაკობდენ. შეიძლება მარტოც იყვნენ. ასეა თუ ისე ერთი რამ ცხადია, ამ გვარ განცხადებას ვერ მიიღებს ის რუსეთი მაინც, რომელსაც გამარჯვება სურს და რომელიც არავითარ მსხვერპლს არ ერიდება, რომ თავი დაიხსნას დღევანდელ სამარცხვინო მდგომარეობიდან. ომი ბოლომდისო, იძახის ოფიციალი რუსეთი, ამასვე იმეორებს მთელი პროგრესიული რუსეთი. და ამ ძახილში დისონანსად გაისმა მემარჯვენეთა ხმა: იქნება სჯობდეს საქმის თანხმობით მოგვარებაო. აქ ორი შეურიგებელი ფორმულაა დაპირისპირებული. თუ მემარჯვენეთა გამოსვლა ამ თავითვე არ იქმნა გაბათილებული და მას თავისუფალი ასპარეზი დაეთმო, რუსეთის საზოგადოებრივი აზრი თავის დამოკიდებულებაში ომისადმი სრულიად ახალ-ახალ ხანაში შევა

—

**საქონლის შემცირება**

რუსეთში სხვა და სხვა სამრეწველო და სამეურნეო პალატების მოწყობას შეუდგნენ. იმ მეტად არევ დარეულ ეკონომიურ ურთიერთობაში, რომელსაც განიცდის დღეს რუსეთი, ამ პალატებს ერთგვარი წესის დამყარება ევალებათ. სხვათა შორის სამეურნეო პალატა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სამუშაო საქონლის მოპოების საკითხს გამოარკვევს. და რუსეთის ზოგიერთ კუთხეში რომ მეურნეთ სამუშაო საქონელი დიდათ აკლიათ, ეს სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო ყრილობაზედ სავსებით გამოირკვა.

რუსეთი მარტო გერმანეთს წლიურად ხუთასი მილიონის სამეურნეო ნაწარმოებს აწვდიდა და ამის დიდს ნაწილს საკლავი საქონელი შეადგენდა. ამ ომიანობის დროს რუსეთს უცხო სახელმწიფოებში საკლავი ვერ გააქვს და მიუხედავად იმისა, რომ ომის გამო რუსეთი ეხლა მეტ ხოცს ხარჯავს, საკლავი საქონლის დანაკლისს რუსეთი არ უნდა განიცდიდეს. მაგრამ აქაც რუსეთის ეკონომიური მოუწყობლობა იჩენს თავს დაიმ დროს, როდესაც ციმბირში საკლავი საქონელი გაუყიდელი რჩება, სომარ ასპარეზის მახლობელ რაიონებში ის გამოილია და მთავრობამ მეურნეობისთვის საჭირო მუშა საქონლის რეკვიზიციას მიჰყო ხელი. ასეთს მოვლენას მეტად ცუდი შედეგები მოჰყვება. რუსეთი მრეწველობის მხრივ მეტად ჩამორჩენილი არის, მაგრამ სამეურნეო ნაყოფით ის მდიდარი იყო. ამ ომის გამო დათესილ ყანების სივრცე მეტად შემცირდა და ამის მიზეზი, რასაკვირველია მუშა ხალხის ომში გაყვანა იყო. ეხლა მუშა ხალხის შემცირებას მუშა საქონლის შემცირებაც თან დაერთვება და ეს უთუოდ რუსეთის მეურნეობას ცუდ შედეგებს უქადის. სოფლიო მეურნეთა ყრილობამ დადგენილება გამოიტანა, რომ მთავრობამ ილონოს და ჩინეთიდან თუ მონგოლეთიდან მუშა საქონელი მოიყვანოსო. საეჭვოა, რომ ეს დღევანდელ პირობებში განხორციელდეს. განა ბევრად უფრო ადვილი არ იყო, რომ მთავრობას საკლავი საქონელი ციმბირიდან და ჩრდილო გუბერნიებიდან გამოეყვანა და მუშა საქონლის რეკვიზიციისთვის არ მიეყო ხელი?

რუსეთის ყველა სხვა ნაწილებზედ უფრო ჩვენ ქვეყანას დაეტყობა მუშა საქონლის დანაკლისი. ომის დაწყებიდანვე სახორცეს კარგი ფასი აქვს და სოფლელებმა თავისი საოჯახო საქონელი ძალზედ შეამცირეს. ეხლა მთავრობა რეკვიზიციას ახდენს და სოფელში დარჩენილი საქონლის ნაწილი საკლავად მიჰყავს. ჩვენს სოფელს მუშა ხელი ძალზედ შეუმცირდა. ეხლა მას მუშა საქონელიც შემოაკლდება. ჩვენ ქვეყანას არავითარი პალატის მოქმედება არ მისწვდება და თავის პატრონობა ჩვენი ძალით უნდა ვეცადოთ.

# ქართული პრესა

„თანამედროვე აზრი“ მეორე წერილში სოციალისტური თვალსაზრისით ახასიათებს იმ მიმართულებას, რომელიც „საქართველო“-„სამშობლო“-ს გარშემო მოქმედობს. ის სწერს.

„ფედერალისტთა პარტია ბურჟუაზიისათვის ზედმეტი ბარგი გამოდგა და ისიც თავიდან ჩამოიშორეს. მისი ადგილი გაზეთ „საქართველო-“ს ჯგუფმა დაიკავა, რომელიც ნაციონალ-დემოკრატების ორგანოთ ითვლება.

ამ ჯგუფის მიზანია ქართველი ბურჟუაზიის გაძლიერება. ამ მხრივ ის არჩ. ჯორჯაძის პროგრამას ახორციელებს, რომელიც ამ ქართველმა ოპორტიუნისტმა „ცნობის ფურცელსა“ და პარიზის „საქართველო“-ს პირველ ნომერში გამოაქვეყნა. ახლანდელი „საქართველო“ ძველი „საქართველო“-ს გაგრძელებაა. ნაციონალ-დემოკრატებმა საბოლოოდ დაგმეს ფედერალისტთა სოციალისტური რეკლამა და ქვეყანას ნამდვილი სახით ევლინებიან. რა გასაკვირალია, ფედერალისტთა დაუძლურებული და არეულ-დარეული რაზმის მეთაურები ნაციონალ-დემოკრატთა ასპარეზზე გამოსვლის მიფუჩეჩებას ლამობდენ. „სახალხოელნი“ და მათი თანამოძმენი ბურჟუაზიულ პარტიას „აპოლიტიკოსობას“ სწამებენ და „ეროვნული პოლიტიკის“ უარყოფას უკიჟინებენ.

მერე მართალია ეს? რანაირია ა/სხებული პარტიების სამოქმედო გზა?

სოციალდემოკრატია მუშათა კლასის განთავისუფლებას ეტრფის. საფაბრიკო კანონმდებლობა და მუშათა დაზღვევა, პოლიტიკური თავისუფლების მოპოება და აგრარული საკითხის გადაჭრა, ეროვნული თავისუფლების დამყარება და ადგილობრივი თვითმართველობის შემოღება—ყველა ეს გზა და ხიდია საბოლოო მიზნის მისაღწევად და სოციალიზმის განსახორციელებლად. ამიტომაც არის სოციალდემოკრატიის პოლიტიკა ყველასათვის აშკარა და გარკვეული.

ნაციონალ-დემოკრატიის მიზანია ქართველი ბურჟუაზიის მოღონიერება. ეს შეიძლება ვაჭრობა-მრეწველობის ხელის შეწყობით, ფაბრიკა-ქარხნების გახსნით, ბანკების დაარსებით, მოკლეთ „მოსაქმე“ ბურჟუაზიის ამოძრავებით, ვაჭარ-მრეწველთა გამდიდრება—აი ახალი პარტიის მთავარი საზრუნავი საგანი. ამ თვალსაზრისს უნდა დაემორჩილოს ახალი დასის სავაჭრო-სადამოჟნო პოლიტიკა და აგრალური ურთიერთობის მოწესრიგება, ეროვნული საკითხის გადაჭრა და ადგილობრივი თვითმართველობის ძირითად დებულებათა აღნუსხვა. კერძოთ ეროვნულ საკითხს ჩამოეცლება ის რომანტიული სამოსელი, რომელშიაც ფედერალისტებმა გახვიეს და მთელი პოლიტიკის ქვაკუთხედათ გამოაცხადეს.

მართლაც ფედერალისტთა პარტია მხოლოდ ტერიტორიალური ავტონომიით საზრდოოპს და მას თავს დასტრიალებს. ყველაფერი, რაც ამის გარეშეა, ის ეშმაკისგანაა—ასეთია „ეროვნულ სოციალისტთა“ მსოფლმხედველობა. ამიტომაც არის ის[illegible] საზოგადოებრივ-პ[illegible] გარეშე რჩებიან.

ასე მოხდა მე-90-ე წლებში და მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა მუშათა კლასი ამოძრავდა და მას გვერდში ამოუდგა გლეხკაცობა. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ისინი ხომ სავსებით გარიყა. მათ ვერც რეაქციამ უშველა. ახლა მოიგონეთ არჩევნები მეოთხე სახელმწიფო დუმაში, როცა ფედერალისტთა პარტია მემარჯვენე კადეტის, გადაგვარებული ლ. ანდრონიკაშვილის მაჩანჩალა შეიქნა, ხოლო თბილისის ქალაქის არჩევნებში ბურთი და მოედანი პართენ გოთუას ბანაკს დაუთმო. მოკლეთ, ეს პარტია სრულიად უნიადაგო გამოდგა როგორც დემოკრატიულ, ისე „მოსაქმე“ ბურჟუაზიის“ წრეებში. მისი სისუსტე პატრიოტული რომანტიზმია. ან კი ვინ უნდა დააფრთხო მუდამ დღე ტერიტორიალურ ავტონომიაზე ყვირილით, თუ ამ მოთხოვნილებას შესაფერი ძალა ზურგს არ უმაგრებს? რომელი საზოგადოებრივი ჯგუფი უნდა მიიმხრო ლიტონი პატრიოტული დეკლარაციით, თუ არ შეგიძლია ამა თუ იმ კლასის სოციალ-ეკონომიური მისწრაფებათა დაკმაყოფილების ხელი შეწყობა და მისი იდეალის განსახორციელებლათ გზის გაკაფვა? საზოგადოებრივი ძალა ორია—დემოკრატია და ბურჟუაზია. პირველის გავლენა მისი შეგნება-შეკავშირებით განისაზღვრება, ხოლო მეორის ძალას კაპიტალი შეადგენს. რა იქნებოდა სომხის ნაციონალიზმი, რომ მას ზურგს არ უმაგრებდენ მანთაშოვები, გუკასოვები ადელხანოვები და მილოვები?

და აი, ეს საანბანო ჭეშმარიტება დღეს „საქართველოს“ ჯგუფმა შეიგნო და მიზნათ დაისახა ბურჟუაზიის დარაზმვა. ამით ნაციონალისტური ინტელიგენცია „მოსაქმე“ ბურჟუაზიას დაუკავშირდა და მისი სამსახური იკისრა, ამ გზით ადრე თუ გვიან ნიადაგი გამოეცლება პატრიოტულ რომანტიზმს, რომელიც ჩვენს ნაციონალისტურ ინტელიგენციას ახასიათებს. ნ. ნიკოლაძეები და პ. გოთუები, დადიანების და ჯაყელების, ძეგველოვებისა და სესიაშვილების ინტერესებს დაემორჩილებიან და საზოგადოებას ქართველი ბურჟუაზიის აღმასრულებელ კომიტეტათ მოევლინებიან.

ასეთია აუცილებელი შედეგი ბურჟუაზიის დარაზმვის იმისდა მიუხედავათ, თუ რას ფიქრობენ გაზეთ „საქართველოს“ მწერლები. ეს პოლიტიკური ბრძოლის გაღვივება და არა მისი უარყოფა იქნება, როგორც „სახალხოელნი“ ირწმუნებიან.

პატრიოტული რომანტიზმი კვდება. ფედერალისტთა პარტიას მთავარი ბურჯი გამოეცალა და ადგილი ნაციონალ-დემოკრატიულ დასს დაუთმო. ამით ქართველი ხალხი მხოლოდ მოიგებს, ვინაიდან პოლიტიკური შეხლა შემოხლა უფრო გარკვეულ ხასიათს მიიღებს“.

# კავკასიის ფრონტი

I

ვერდენთან ბრძოლამ თითქმის მთლად დაჩრდილა ყველა ის ბრძოლანი, რომელნიც ერთს დროს გამოურკვეველ თრთოლვას გვგვრიდნენ. პირადად ქართველთათვის საყურადღებო იყო და არის კიდეც კავკასიის ფრონტი. 1914 წლის ქრისტეშობისთვის 18—20 რიცხვებში, იმდროინდელი საღმრთო დრტვინვა დ მჭუნვარე ფაცაფუცი, შემდეგ სარაყამიშთან ბრწყინვალე გამარჯვება და ენვერ-ფაშის თამამი გეგმის ჩაშლა იმავე ქრისტეშობისთვის უკანასკნელ რიცხვებში თითქოს უზრუნველს გვყოფდა მომავალი შემოსევისაგან. მაგრამ ეს იყო მხოლოდ „თითქოს“, ვინაიდან ოსმალნი ამის შემდეგაც არ დამცხრალან, სარაყამიშთან დამარცხების შემდეგ იმდენ ძალღონეს იკრებენ, რომ აჩერებენ რუსის მხედრობის ოპერაციების განვითარებას. თვით რუსეთის მხედრობაც, სიმართლე რომ ითქვას, იმდენ ძალას არ წარმოადგენდა, რომ მტრის დევნა კარგა მანძილზე შესძლებოდა. დღევანდელი გმირები, როგორც იუდენიჩი, ისე ბარათოვი და გაბაშვილი სასწაულით გადარჩნენ სარაყამიშის კატასტროფას, რაღაცა სასწაულით ხელთ იგდეს ბრწყინვალე გამარჯვება, რომლის საიდუმლო ოდნავ მხოლოდ ისხან-ფაშის დატყვევების შემდეგ გამოირკვა, რომელმაც ჩვენების ჩამორთმევის დროს ზედმიწევნით ასე განაცხადა: „ბედი ასეთია, ჩვენებას მართმევთ ისინი, ვისთვისაც თვითონ მე უნდა ჩამომერთმიაო“.

ასეა თუ ისე რუსის მხედრობის გამარჯვება ფაქტი იყო, ფაქტი, რამაც ფართო განვითარება ვერ ჰპოვა შემდეგში, რადგანაც მთავარსარდლის ყურადღება მაშინ, დიახაც, სამართლიანად დასავლეთ ფრონტისკენ იყო მიპყრობილი, სადაც გერმანელთა მრისხანე ტალღა ჰბორგავდა და რუსეთის საზღვრებს პოლონეთში თანდათანობით ჰლეკავდა.

1915 წელმა ვერ გაამართლა იმედები ოსმალეთისა კავკასიაში გამოსალაშქრებლად, ვერ გაამართლა არა იმიტომ, რომ ამისთვის საკმაოდ ძალა არ შესწევდა, რომ სარაყამიშის მარცხი სასტიკი რევანშით აენაზღაურებინა, არა იმიტომ, რომ სამზადისი ჩაეშალა და მთელი თავისი ყურადღება უმალ დარდანელს მიაპყრო, რა წამს „კინგ-ელისაბედმა პირველი ყუმბარა გამოსტყორცნა და ფრანგთა ესკადრის დახმარებით საკუთარ ფლოტის საუკეთესო ძალები მიაყენა სრუტის გასარღვევად და ოსმალეთის გულის სტამბოლის მოსაკვლელად. შედეგები ამ ტიტანიური ბრძოლისა უკვე მოგვეხსენება. მოკავშირენი თითქმის ერთი წლის ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ ამაო ოპერაციაზე, ლორდი კიტჩენერი სასტიკ გამოძიებას ახდენს, პირადად რწმუნდება მის უნაყოფობაზე და მხოლოდ მაშინ იკადრა ნაწილი სალი მხედრობისა სალონიკში გადაეყვანა დასაბინავებლად, ნაწილი კიდევ მეტროპოლიაში მოსავლელად და მოსარჩენად.

მართალია, დარდანელის ოპერაცია სრულის დეფექტით დამთავრდა, ისიც მართალია, მოკავშირეთ დიდი მსხვერპლი გაიღეს აქ, დაეღუპათ თითქმის ათეული ჯავშნოსანი და რამდენიმე კრეისერი თუ სატრანსპორტო გემი, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ოპერაციას ჰქონდა დადებითი სარგებლიანი შედეგი, რომლის უარისყოფა შეუძლებელია. მე მოგახსენებთ ამ ოპერაციის გამო ოსმალთა მთავარ გეგმის ჩაშლას: დიდი მათი განზრახვანი კავკასიაში გამოსალაშქრებლად, ეგვიპტისკენ, სუეცის არხის ამოსაქოლად თუ სპარსეთის გზით ინდოეთში შესაჭრელად მხოლოდ სანუკვარ ოცნებად დარჩა, რასაც რეალი სახით განხორციელება არ ჰღირსებია.

ოსმალთა გათამამება ამ ფრონტზე იწყება კარპატებში ავსტრო-გერმანელთა შემოტევის შემდეგ. რა წამს პერემიშლ-ლვოვის ხაზი მაკენზენის ფალანგის ცეცხლის ობიექტად გახდა, მაშინ კავკასიის ფრონტიდან გადაყვანილ იქმნა გენერალი გაბაშვილი თავისი პოლკით და აქ მდგარი ცნობილი ყაბარდოელთა მთელი დივიზია. რა წამს იგრძნეს ფრონტზე რუსთა ძალების შესუსტება, ოსმალნი აჩუჩუნდნენ. გერმანელთა დახმარებით საკმაო იარაღს იღებენ, ძალას მოიცემენ, თანაც ათას ხმებს ავრცელებენ, აგერ ეს-ესარის აზრუმამდე რკინის გზა გაათავეს გერმანელებმა, ამდენი და ამდენი გერმანელი ინჟინერი მუშაობსო და სხვა და სხვა. ისეთს შთაბეჭდილებას იღებდა ადამიანი, თითქოს ოსმალნი მართლა რაღაცა გრანდიოზულ ოპერაციის დაწყებას აპირებენო. მიუხედავად ამისა მათი ფართო შემოტევა მხოლოდ დემონსტრატიული სახით დამთავრდა ალაშქერთის მხრით, რაიც საბოლოოდ ისევ მათი მარცხით აღინიშნა ილისისა და აგვისტოს რიცხვებში.

II

ახალ მთავარმართებლის ამ ფრონტზე მთავარსარდლად დანიშვნამ სწრაფად შესცვალა ყოველისფერი. ეხლაც არ ვიცით მთავარი გეგმა, საიდუმლოა განზრახვანი მთავარი შტაბისა, მაგრამ მოქმედებიდან კი აშკარად სჩანს, რომ რამდენადმე მართალი უნდა იყვეს ხმა, როდესაც ამბობენ, ამ ოპერაციების მთავარი დანიშნულება ხმელეთით სტამბოლის აღებააო. არა ვწინასწარმეტყველობთ, არც შევდივართ შემდეგს განსჯაში, საქმის ვითარების მსვლელობა ყოველისფერს დაგვანახვებს. ჯერ-ჯერობით აღვნიშნავთ, რა ცვლილება შეიტანა ბრძნულ გეგმის ბრძენმა ხელმძღვანელმა მთავარსარდალმა.

გასულ წლის დამლევს წელ მომაგრებულმა ოსმალებმა ენერგიული მოქმედება დაიწყეს სამ გზით: მცირე აზიაში, სპარსეთში და მესოპოტამიაში. აღმოჩნდა, რომ ოსმალთა ძალები მართლა შეუვსიათ, კარგაც შეუიარაღებიათ გერმანელთა სამხედრო მასალით, ისიც გამოირკვა, რომ ოსმალთ უმთავრესად ხელმძღვანელობდნენ გერმანელი აფიცრები. აზრუმის გზა ამოიღეს ნიშანში, ძველი ნაცადი გზით სარაყამიშზე წამოსვლა, ხოლო მესოპოტამიაში მიზნად დაისახეს გენერალ ელმერის საექსპედიციო კორპუსის განადგურება. სპარსეთში თავის მხრით გერმანელები და ოსმალები შეუდგნენ ძლიერს აგიტაციას რუსთა წინააღმდეგ.

მთელი ფოკუსი რუსთა გამარჯვებისა ამ ფრონტზე მდგომარეობს, შესაძლებელია, იმდენად ძალთა თანასწორობაში ან ზედმეტობაში არა, რამდენადაც **ინიციატივის** ხელში ჩაგდებაში. ბევრგან ოსმალნი შეიარაღებით და ჯარითაც მეტნი ყოფილან, მაგრამ პასიურად მდგომნი ვერ ჰბედავდნენ მოქმედებას, თითქოს მუდამ მოლოდინში იყვნენ რუსებისა, რომ მოევერებინათ. აი ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ სრულიად ადვილად დაათანტვინეს რუსებმა მათ ძალები. ფართო დემონსტრაციები რუსთა ჯარებისა ჯერ კიდევ დეკემბერში ალაშქერთის ღელეზე ეფრატის ზემოდ მათ სერიოზულ შემოტევად მიიღეს, რის გამოც თვით აზრუმის ჰარნიზონი შეათხელეს და მაშველი ჯარები აფრინეს აქედან. მაგრამ ვიდრე ისინი დანიშნულ ადგილას მივიდოდნენ, ვანის რაიონიდანაც საკმაო ძალები დასძრეს. ამნაირად, რუსთა მარჯვე მანევრებით ოსმალთა მთავარი ფრონტი, ფრონტი აზრუმისა, საკმაოდ შეთხელებულ იქმნა, რაიც ასე მარჯვედ გამოიყენა გენერალმა იუდენიჩმა თავის ოპერაციების მთავარ და სახელოვან ობიექტად.

იანერის თვემ მხოლოდ მზადებაში ჩაიარა. რუსეთის მხედრობა მხოლოდ მზვერავთა გზავნით კმაყოფილდება. ეძებს მტრის სუსტსა და ძლიერს მხარეს. ოცის რიცხვებში უკვე გადასწყდა საკითხი და რუსეთი აშკარად გადის, ლაშქრობას ეწევა აზრუმის მიმართულებით. ელვის სისწრაფით ეცემა ხოროსანი, ქეპრიქეის ცნობილი გასავალი, შემდეგ ჰასანკალა. აქედან იწყება მცირე ხნის შესვენების პერიოდი. მოლოცვებთან ერთად რუსეთის სამხედრო მიმომხილველნი თითქმის სიგიჟედ სთვლიან წინსვლას, აზრუმზე შეტევას. მაგრამ თეორია არ გამართლდა პრაქტიკაში. რუსის მხედრობა აფრიალებს ახალ ლაშქრობის დროშას და პირდაპირ იერიშით მიდის აზრუმზე.

# დეპეშები

(„საქართველო“-ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

„ტაიმსი“ იუწყება, ფრანგების წინაალმდეგ სხვა ადგილას დიდი ბრძოლის გახაჩაღებლად გერმანელებმა დიდძალ ახალ ჯარებს თავი მოუყარეს. ვერდენთან დადებით შედეგს მიახწევენ თუ არა, გერმანელები ამ ახალ ბრძოლას შეუდგებიანო.

—

საფრანგეთის ტერიტორიაზე ბრძოლის ხელმძღვანელი შტაბის სტრატეგია იმედ მოცემულია და აღფრთოვანებული იმპერატორ ვილჰელმის იქ ყოფნითა და თანადასწრებით.

—

„იდეიურ“ ანარქისტების მოწოდებას, რომელიც უცხოეთში გამოვიდა და რომელიც წინაალმდეგია ზავის უდროულად ჩამოგდებისა, ხელს აწერენ პეტრე კრაპოტკინი, პოლ რეკლიუ და ვარლამ ჩერქეზიშვილი.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის ხვოსტოვის სამსახურიდან გადადგომა გადაწყვეტილი საქმეა. მისი პორთფელი გადადის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, შტიურმერის ხელში.

—

„ტაიმსი“ ეხება კავკასიის კომპანიას და ამბობს, რუსის ჯარმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ საზამთრო კომპანიაში მას ვერავინ შეედრებაო.

# „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი“

როგორც სატახტო გაზეთები გადმოგვცემენ, 25 თებერვალს, სასულიერო უწყების ბიუჯეტის განხილვის დროს, ობერპროკურორს განუცხადებია სახელმწიფო სათათბიროში, რომ სინოდმა გადასწყვიტა ეხლავე შემოიღოს „სამიტროპოლიტო ოლქებიო“ (იხ. „კოლოკოლი“ № 2935). ამ ნაირად, ოფიციალად მტკიცდება ცნობა „კავკასიის სამიტროპოლიტოს შესახებ, რომელიც, მთელის მისი სიმწვავით, პირველად „საქართველომ“ აღნიშნა ჩვენში (№ 41). სამწუხაროდ, ჩვენმა გაზეთებმა, „სახალხო ფურცლის“ გარდა, რომელმაც ყრუდ გამოეხმაურა ამ ცნობას (№ 512), ყურადღების ღირსად არა სცნეს ეს გარემოება. ეხლა კი ყველა დარწმუნდება, რომ ჩვენს თვალ წინ იშლება უკანასკნელი აქტი საქართველოს ეკლესიის ტრაღედიისა, ის აქტი, რომელიც ამ ათიოდე წლის წინად ცნობილმა ვოსტორგოვმა შეთითხნა. რა გვმართებს ეხლა ჩვენ?

ვიდრე საკითხი საქართველოს ეკლესიის კანონიერ უფლებათა აღდგენისა ჯერ არ გადაწყვეტილა, ჩვენს საეკლესიო გარეგნულ წეს-წყობილებაში უნდა დაცულ იქმნას status quo: „საქართველოს საექსარხოსო“, რომელიც ჩვენთვის უშინაარსო ბგერა არ არის, არსებითად უცვლელად უნდა დარჩეს. ან რად მოსდომებია სინოდს მისი მოსპობა და გაუქმება? იქნებ იმისთვის, რომ არ იცის, რომელს სამიტროპოლიტოს მიაწეროს ჩრდილო კავკასია? ნუ დაავიწყდება, რომ მთელი თერგის ოლქი (ვლადიკავკავის ეპარქია) და კასპიის იქითა მხარე მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდის საქართველოს ექსარხოსს ექვემდებარებოდა, მაგრამ ამას არ გამოუწვევია „საექსარხოსოს“ გაუქმება. იქნებ იმისთვის, რომ ჩვენშიაც საჭიროდ სთვლიან მიტროპოლიტის ხარისხს? ექსარხოსი დღეს-დღეობით წარმომადგენელია უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიისა, რომელსაც პატრიარქი განაგებდა; ამ ეკლესიის პრესტიჟი სულ რომ არ დაეცეს,

რუსეთში ახალი პროექტით, არსებითად საწინააღმდეგო არა გვექნება რა, თუ ექსარხოსსაც, მთავარეპისკოპოზის მაგიერ, მიტროპოლიტის ხარისხი მიენიჭება, მაგრამ იმ პირობით, რომ ის იქნება „მიტროპოლიტი ქართლისა და კახეთისა, სრულიად საქართველოს ექსარხოსი“; პირველი ჩვენი ექსარხოსები, სამოციან წლებამდის, ევსევი ექსარხოსამდის, მიტროპოლიტის ხარისხს ატარებდენ, მაგრამ ამას არ გამოუწვევია „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმება. რა იწვევს ეხლა იმას, თუ არა პოლიტიკანობა? რამდენიც უნდოდეთ, იმდენი სამიტროპოლიტო ოლქი დაიარსონ თავისთვის, საქართველოს საექსარხოსო კი „საქართველოს საექსარხოსოდ უნდა დარჩეს იმ დღემდის, როდესაც მისი ბედი საბოლოოდ გადაწყდება. ამ მხრივ ქართველებმა უნდა ხმა აღიმაღლონ ეხლავე: ხმა უნდა ამოიღონ მათ სახელმწიფო სათათბიროში, ხმა უნდა ამოაღებინონ მათ ვისმეს სინოდში, განსაკუთრებით მიტროპოლიტ პიტირიმს, რომელსაც, მეტი არ იქნება, მოვაგონოთ—რას გვპირდება და რას გვაძლევს. აქაც, ადგილობრივ, სათანადო დეპუტაცია უნდა გაუგზავნოთ მეფის ნაცვალს და აგრეთვე ახალ ექსარხოსს, რომელიც, რამდენადაც ვიცით, „საქართველოს საექსარხოსოს“ გაუქმების იდეიას არ თანაუგრძნობს.

დეკ. კორ. კეკელიძე.

# აჭარელთა დეპუტაცია

გუშინ, 4 მარტს, ჩვენს რედაქციას ეწვივნენ საპატიო აჭარელი სტუმრები ყადი ისკანდერ ბეგი ცივაძე, თემურ-ბეგი ხიმშიაშვილი, რეჯებ ბეგი ნიჟარაძე, კემბერ-აღა ხარაზი, ზაქარია-ბეგი შარვაშიძე.

რეჯებ ბეგმა ნიჟარაძემ დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიჰმართა რედაქციის კოლეგიას: ჩვენ მოვედით მადლობა გამოგიცხადოთ არა იმიტომ, რომ ამ გაჭირვებულ და ომისგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანებს ნივთიერი დახმარება გაგვიწიეთ; თქვენი მადლობლები ვართ, რომ თქვენ ქართველებისთვის ხელსაყრელ აზრს ავრცელებთ და მოგვიწოდებთ ქართველები შევერთდეთ და ჩვენი ეროვნული მთლიანობა შევინახოთ. მართალია, ჩვენ მაჰმადიანები ვართ და თქვენ ქრისტიანები, მაგრამ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, ერთის წინაპრისა, ერთის სისხლისა და ერთის ხორცისა და შემდეგშიაც მტკიცედ განაფიცი ძმები უნდა ვიყვნეთ, ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ერის დაქსაქსულობა ერის დაღუპვა იქმნება. ჩვენ უნდა შევერთდეთ და შევდუღდეთ ჩვენის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაზეთ „საქართველო“-ს წევრმაც სათანადო სიტყვით მიჰმართა.

იგივე სტუმრები გუშინ ეწვივნენ „ზაკ. რეჩს“, „თანამედროვე აზრს“, „თემის“ რედაქტორს და „სახალხო ფურცლის“ რედაქციას.

—

გუშინ ცენზორის მიერ ამოღებულ ადგილას, სხვათა შორის ამოღებული იყო შემდეგი ადგილიც, ურომლისოდაც წერილის აზრი გაურკვეველია. ცარიელი ადგილის შემდეგ უნდა ყოფილიყო:

მეფის მოადგილის შემდეგ წარმომადგენლები ესტუმრენ თბილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს. აქ მათ დაუხვდა თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აფხაზი. რეჯიბ-ბეგ ნიჟარაძემ მიმართა სიტყვით: „სალამს გიძღვნით თქვენ ქართველთა წარმომადგენელს ძველად-ძველ მოძმეებისაგან ჩვენს ძველ ძმებს. იმ აურაცხელი სამსახურის და დავალების შემდეგ, რომელიც თქვენ თავზედ იდეთ ამ ჩვენთვის ფრიად ძნელ დროში, ჩვენ აუცილებელ მოვალედ ვსთვლიდით ჩვენს თავს მოვსულიყავით და თქვენთვის სალამი მოგვეძღვნა“.

**კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება: სურათები: „მისნებთან“, „იერიში“, „ციხის ზარბაზნები“, „გამარჯვებულნი“ ომში დაჭრილნი და დახოცილნი, ოთხი კარიკატურა. ლექსები: ი. ქართველიშვილისა, ი. მოსაშვილისა და სხვა. „მწყემსი დედოფალი“ ალ. იაკ. ახალციხელისა, ორი ესკიზი და სხვა.**

# ახალი ამბავი

**მეფის ნაცვალს** დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სადარბაზოდ წარუდგა პოლკოვნიკი თ-დი ერისთავი, რომელიც შემდეგ მეფის ნაცვლის მიერ მიწვეულ იქმნა საუზმეზე.

**უმაღლესი ბრძანებით** 51 დივიზიის დეკანოზი ი. კერესელიძე დაჯილდოებულ იქმნა წმ. ანნას ჯილდოთი ომში გამოჩენილ სამსახურისთვის.

**საქართველოს ექსარხოსი** ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი დღეს დილის 8 საათზე მიემგზავრება სიღნაღს, ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტრის დასათვალიერებლად. გზაზე სიღნაღის მახლობელ ტაძრებსა და სკოლებს დაათვალიერებს. ექსარხოსთან ერთად მიემგზავრებიან მონასტრების კეთილ-მოწესრიგე არქიმ. ნაზარი, სამრევლო სკოლების მეთვალყურე დეკ. ორეხოვი და სიონის ტაძრის კანდელაკი დეკ. ა. თოთიბაძე. თბილისში ექსარხოსი ორშაბათს, 7 მარტს დაბრუნდება.

**ნოტარიუსის გადაყენება.** თბ. სასამართლო პალატის თავმჯდომარის განკარგულებით ცხინვალის ნოტარიუსი ხ. ა. გრიგორიანცი გადაყენებულ იქმნა სამსახურიდან.

**დეპუტაცია ბაქოდან.** თბილისში ჩამოვიდნენ მეფის ნაცვალთან წარსადგენად ბაქოს საბჭოს ხმოსნები ქალაქის მოურავის ლ. ლ. ბიჩის მეთაურობით.

**მეფის ნაცვლის საბჭოს** უკანასკნელ სხდომაზე გადაწყდა საკითხი მუდმივ ორგანიზაციების (ბიუროების) მოწყობა ჭირნახულის მტრებთან საბრძოლველად. თანახმად საბჭოს დადგენილებისა უნდა დაარსდეს 4 ბიურო საერობო ხარჯზე. ერთი ბაქოს გუბერნიისა და დაღესტნის ოლქისთვის მეორე განჯის გუბერნიისთვის და ზაქათალის ოლქისთვის, მესამე თბილის-ერევნის გუბერნიებისთვის, ხოლო მეოთხე ქუთაისის გუბ. და ბათომის ოლქისთვის.

**თბილისის პოლიტეხნიკუმი.** ე. პ. კავალევსკის უსაუბრია კავკასიის მეფის ნაცვლის წარმომადგენელ ა. პ. ნიკოლსკისთან, თბილისის პოლიტეხნიკუმის თაობაზე. ნიკოლსკის უთქვამს: თბილისის პოლიტეხნიკუმის კანონპროექტს მალე წარვუდგენთ სათათბიროსაო. კავალევსკის აზრით სათათბირო ამ კანონ-პროექტს დაუბრკოლებლად მიიღებს.

ქართველ ქალთა ჭრა-კერვის სკოლაში, კვირაში ერთი დღით **უფასოდ მკურნალობა იკისრა კბილის ექიმმა** ქ-ნმა ანა ილარიონის ასულმა **ქართარაძისამ.**

**ტყვეები.** თბილისში ყარსიდან სასანიტარო ვაგონით ჩამოიყვანეს 3 დაჭრილი, 136 ავადმყოფი და 27 დამძრალი ტყვე ოსმალო; ყველანი განმანაწილებელ ჰოსპიტალში—ნავთლუღშიმოათავსეს.

**ილიასეული მამული.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ 1 მარტს განიხილა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიერ შემუშავებული ძირითადი პირობები შესახებ ილიასეულ საგურამოს მამულის იჯარით აღებისა და არსებითად შესაძლებლად სცნა მათი მიღება, ხოლო დაწვრილებითი პირობების შემუშავება მიანდო ამ საგნისათვის არჩეულ კომისიას, რომელშიაც შედიან გ. ნ. ყაზბეგი, გ. ცინცაძე და გ. ლასხიშვილი. პირობები 1 კვირის განმავლობაში უნდა იქმნას შემუშავებული.

**გადამდები სნეულებანი.** გუშინ 3 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 112, ხუნაგიანი 36, ყვავილიანი 2, სახადიანი 53, სოლფლიანი 13.

**„დედა-ენის“ გამოცემა.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ დაადგინა 1 მარტს,—დაევალოს საგამომცემლო სექციას ეხლავე შეუდგეს „დედა-ენის 1 ნაწილის შესწორებას ქრისტიანეთა სკოლებისათვის და მომავალ სამოსწავლო წლის დაწყებამდე დააბეჭდვინოს.

**დუშეთის კოოპერატივი.** მომხმარებელი ამხანაგობა უკვე გაიხსნა დუშეთში. გამგეობა არჩეულია. ჯერჯერობით შემოსულია საწევრო ფული 800 მანეთამდე. საქმის კარგად წაყვანაში ეჭვი არავის შეაქვს, ჩარჩები თუ არ მოექცნენ საქმეს სათავეში.

**საგანგებო კრება.** მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს, რომ ხვალ, 6 მარტს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში გაიმართება საგანგებო კრება ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა. კრებამ უნდა განიხილოს საჩქარო საქმეები საზოგადოებისა.

**ფოსტის ახალი სადგომი.** ამ თვეში თბილისის საფოსტო კანტორა გადადის ახალ შენობაში მიხეილის პროსპექტის და კოლონიისკი ქუჩ. კუთხეში იუზბაშევის სახლში, რომელიც 10 წლითაა ქირით აღებული.

**სოხუმის სანოსწავლო სემენარიაში** აფხაზურ ენის სასწავლებლად მეფის ნაცვლის საბჭომ 500 მანეთი გადასდო წელიწადში.

**მემთამადნე პრინცესსა** ა. მიურატს ნება დართო მეფის ნაცვლის საბჭომ 1000 ფუთ ტყვიის მადნეულობის გატანის ადგილ „ნაბიჩხორიდან“, ლეჩხუმის მაზრა, ალაგირის ქარხანაში გამოსაცდელად.

**ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების საგანგებო კრება** დანიშნულია კვირას, მარტის 6, შუადღის 12 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში. კრება განიხილავს „ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში“ წევრად შესვლის საკითხს და აირჩევს 3 რწმუნებულს კავშირის კრებებში მონაწილეობის მისაღებად. რადგან ეს კრება მეორედ არის დანიშნული, კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** მიწადმოქმედების სამინისტროსი და კავკასიაში მისი წარმომადგენლის წინადადებათა გამო შესახებ მებოსტნეობის გავრცელებისა საზოგადოების საბჭომ დაადგინა ურჩიოს სოფლის მეურნეთ, რომ მიაქციონ ყურადღება ამ სასარგებლო საქმეს და მუყაითად შეუდგენ ბოსტნეულობის მოყვანას. რაშიაც მიწადმოქმედების უწყება დიდად შეუწყობს მათ ხელს თესლის მოწოდებით, რჩევა-დარიგებით და მოყვანილ ბოსტნეულობის გასაღებით.

**შეწირულება.** თავ. მ. ა. ანდრონიკაშვილმა წერილობით აუწყა ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს: გადაესწყვიტე შევსწირო საზოგადოებას 3 დესეტინა ადგილი, მდებარე სოფელ ქოდალოში, საცა კი საზოგადოების წარმომადგენელი აირჩევს, მაგრამ იმ პირობით, რომ საზოგადოებამ გააშენოს იქ ხახლის საჩვენებლად სამაგალითო ხეხილის ბაღიო. საზოგადოების საბჭომ დაადგინა მიიღოს შემოწირულება და საზოგადოების სახელით მადლობა გამოუცხადოს შემომწირველს. საბჭომ ამასთანავე აირჩია კომისია და დაავალა მას აირჩიოს მამული და საზოგადოების სახელზე დაამტკიცოს იგი. კომისიაში შედიან ვ. რცხილაძე, ს. ხუნდაძე, პ. მელია და ინსტრუქტორი ნ. ქუმსიაშვილი.

**შემოიტანეს** თბილისში 3 მარტს: ფქვილი 6 ვაგ., ქერი 3 ვაგ., ღვინო 3 ვაგ., შაქარი 7 ვაგ., შეშა 8 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგონი.

**კარტოფილი.** ქალაქის გამგეობას დიდძალი კარტოფილი აქვს ნაყიდი ჩრდილო კავკასიაში, მაგრამ გადმოტანა ვერ მოახერხა და თბილისში ამ ჟამად გასაყიდი კარტოფილი სრულებით არ მოიპოვება. ეხლა გამგეობისათვის ვაგონები მიუციათ და ამ 2—3 დღეში თბილისში მოელიან 15-ვაგონ კარტოფილს.

**სამოსწავლო ოლქის უფროსს** ნ. ფ. რუდოლფს დაევალა მოაწყოს თბილისში მოსწავლე-ახალგაზდობისათვის სამხედრო-სასპორტო-კომიტეტი.

**გამოქცეულ** ასისორთა რიცხვი ერევნის გუბერნიაში ყოფილა 15,000 სული, მათ შორის ბაშკალაში 3000 სული.

**უმაღლესი მადლობა.** ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი მადლობა მიიღეს ბრძოლის ველზე სახელოვნად სამსახურის გამო 84 შირვანის რაზმის პოლკოვნიკმა ფურცელაძემ, მე-14-ე გრენადერთა ქართულ რაზმის კაპიტანმა გულაბიშვილმა მე-13-ე ლეიბ-ერევნის რაზმის კაპიტანმა თ-დ სიდამონოვ-ერისთავმა.

**ჯარიმა** გუბერნატორმა დააჯარიმა ნიხრის დარღვევისათვის ბ. კეკელაშვილი 400 მ. (ან 2 თვ. ციხე) ი. ხოჯაბეკოვი 300 მან. (ან 2 თვ. ციხე) ი. აბრიანიძე და ა. ნაცვალოვი 300 მან. (ან 1 თვ. ციხე). ა. ჯაჯიანცი 100 მ. (ან 1 თვ. ციხე). ს. პაპიკოვი და ს. ასლანოვი ორი თვით ციხეში, უჯარიმოთ, მაგარ სასმელების გაყიდვისათვის. ტ. სეირანიანცი და მ. სტეფანიანცი ორი თვით ციხე სიმთვრალის დროს ქუჩაზე ხეტიალისთვის.

**კომერციულ დაწესებულებებში მოსამსახურეთა კლუბი.** ამ დღეებში შესდგა ამ კლუბის წევრთა წლიური კრება. განხილულ იქმნა წასულ წლის ანგარიში და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა. წასულ წელში კლუბს შემოსავალი ჰქონია 30,000 მანეთამდე, დახარჯულა 25,500 მანეთამდე, წმინდა მოგება დარჩა კლუბს 4,500 მანეთი. მოგებიდან კრებამ შესწირა სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოებას 100 მან. და საბავშო ბაღის გასამართად გადასდო 1,000 მან., ბოლოს მოხდა არჩევნები მამასახლისებისა და სარევიზიო კომისიის წევრთა.

**პუშკინის სამკითხველოში** თებერვალში ყოფილა 3930 სული, 3604 კაცი და 161 ქალი და 165 ყმაწვილი. სახლში წაუღიათ წიგნები 5602, სამკითხველოში წაუკითხავთ 1050. 1 მარტისთვის ხელის მომწერი სამკითხველოს ჰყოლია 1725.

**ბოსტნების გაშენება.** მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ სურვილი გამოსთქვა რომ საქალაქო მიწებზე ქალაქის თვითმართველობამ ბოსტნები გააშენოს. ქალაქის გამგეობა მეფის ნაცვლის სურვილის განხორციელებას შეუდგა: ბოსტნებისთვის სარწყავი წყალია საჭირო და წყლის გამოყვანა მტკვრიდან გამგეოგამ დაავალა ინჟინერს ლ. ნ. დიასამიძეს. მაგრამ მტკვრიდან წყლის გამოყვანა დაგვიანდება, წყალი კი ამ თავითვეა საჭირო ბოსტნებისათვის. ამიტომ ქალაქის გამგეობამ მოლაპარაკება გამართა კახეთის რკინის გზის ადმინისტრაციასთან, რომელსაც წყალ-სადენი აქვს ნავთლუღის ქვემოდ და განსაზღვრულ პირობებში წყალი სთხოვა. აღნიშნულ გზის გამგე ინჟინერი თავ. თუმანიშვილი თანაგრძნობით მიეგება შუამდგომლობას და წყლის მიცემა აღუთქვა. რადგან წყლის მხრივ საქმე უზრუნველყოფილია, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა ბოსტანი გააშენოს სასაკლაოს მახლობლად, საცა ქალაქს 30 დესეტინამდე ცარიელი ადგილი აქვს.

**ბერძენთა საზოგადოება.** თბ. გუბერნატორმა დაამტკიცა წესდება „ელლინთა კულტურულ-განმანათლებელი საზოგადოება“-სი. დამფუძნებლად არიან ა. ა. კუნდუროვი, პ. ა. ჩეიმაზიდი, ი. გ. ბასტიანოვი და სხვ.

---

უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალნი წინდაწინვე მიხვდნენ თავიანთ უძლურებას და აზრუმი დროზე დასცალეს. ბრძოლაში მის ფორტებიდან მხოლოდ ერთმა მიიღო მონაწილეობა, ისიც განაპირამ, ტავტამ, ეს ფორტი აჩერებდა რუსებს, ამის შემდეგ სუსტი შებრძოლება იყო. აზრუმი რუსთა ხელში გადავიდა, თუმცა მოსალოდნელი დავლა მაინცა და მაინც სახარბიელო არა ყოფილა.

მაგრამ აზრუმი ხომ დავლისა და ტყვეების წამოყვანით არ იყო საინტერესო, არა, ამ სტრატეგიულ ფრიად მნიშვნელოვან ადგილის ხელში ჩაგდება რუსთათვის უდიდესი თავდებია მომავალ გამარჯვების უზრუნველ ყოფის. აქ, ამ აზრუმის ბრძოლით გაირღვა და დაიქსაქსა ოსმალთა ჯარები, აქედან ერთიერთმანეთს მოსწყდა საზღვაო ნაპირებზე მოქმედი ჯარები, რომელნიც იძულებული გახდნენ თითქმის უბრძოლველად რიზა-ტრაპიზონისკენ დაეხიათ, ხოლო აქედან კი ერძინჯანისა და სივასისაკენ.

III

გამარჯვებით დამთავრებულ რუსის მხედრობას, თქმა არ უნდა, თუნდა თრობის წყურვილის ინერცია ვერ შეაჩერებდა და, მაშასადამე, ახალი გეგმა უნდა გამოენახათ ახალის ლაშქრობისა. აზრუმიდან უკან დახეულ ლაშქრების ამბავს ჩვენამდინ არ მოუღწევია. მწირი ცნობების მიხედვით შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ მთავარი ნაწილი ერძინჯანისკენ უნდა წასულიყო, ვთქვათ, აქედ მომავალ ჯარებთან შესაერთებლად დანარჩენ დაფანტულმა ჯარებმა, უეჭველია, მიაშურეს მუშ-ბითლისის ხაზს, რომ აქედან სპარსეთში ან მესოპოტამიაში შეერთებოდნენ თავიანთ თანამოძმეთ. რა თქმა უნდა, ეს შორი გზა მეტად ძნელი რამ არის, მაგრამ, ვამბობთ, ეს შესაძლებელიაო, რადგანაც რუსის არმიამ სწორედ აქეთ იმიშვლა მახვილი და თითქოს არწივისებური ელვის სისწრაფით ერთის დაკვრით აიღო ხნისი, მუში და ბოლოს ბითლისიც ხელთ იგდო 19 თებერვალს.

მუშ-ბითლისის დაკარგვა ოსმალთათვის ფრიად საგრძნობელი რამ არის, განსაკუთრებით ბითლისისა. აბა დააკვირდით რუქას: ადვილად შეატყობთ, რომ იგი შემაერთებელი რგოლია მუშის რაიონში მოქმედ ოსმალთა ჯარების ჯაჭვისა და სპარსეთში მომქმედ იმავე ოსმალთა ჯარებისა ურმიის ტბის ოლქში. ბითლისი მთელი ამ მხარისთვის აზრუმისებური თანამნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. ამისი დაკარგვით ოსმალთა ჯარი ერთხელ კიდევ გაიყო, ერთი-ერთმანეთს მოსწყდა, უბაზოდ, თავისთავის ანაბარად, იგინი ამ ჟამად იხევენ საერტისკენ, მესოპოტამიის შესავალ კარისკენ, სადაც გენერალი ელმერი, მართალია, კრიტიკულს მდგომარეობაშია, მაგრამ რუსთა გამარჯვებით გულმოცემული ციურ მანანით საზრდოებს, იმედით ამხნევებს დამარცხებულ ჯარების ნაშთსა. თქმა არ უნდა, ოსმალნი თუკი შეუერთდებიან იქ მყოფთ თანამოძმეებს, იქნებ რასმეს გახდნენ, მაგრამ საქმე ის არის, რომ მათ ფეხდაფეხ მისდევს რუსის აღფრთოვანებული მხედრობა. სწორედ ამ პუნქტისკენ მიიწევს არა ნაკლებ მრავალ გამარჯვებით დამთვრალი ბარათოვი, რომ სასწაული მოახდინოს და ასე თვალუწვდენელ მანძილით ერთმანეთისგან უგზო-უკვლოდ დაშორებული მხედრობა—კავკასიისა და ინგლისისა შეიერთოს. მთელი ფოკუსი გამარჯვებისა, მაშასადამე, დევნა-დაწევაში და გაძლებაშია. ვინ ვის დაასწრობს, ვინ რამდანად გასძლებს ამ უგზო-უკვალო მხარეში, სადაც უხსოვარ დროს ერთხელ სახელოვანმა ქსენოფონტემ ბაღდადიდან ტრაპიზონამდე გამოიარა ბერძენთა ჯარების ნაშთთან ერთად, აი საკითხი ეს არის ეხლა. მართალია, როგორც რუქიდანაც სჩანს, ბითლისიდან ზოგიერთი გზაა გაყვანილი, მაგრამ ზოგადად გზა იგი არ გზაობს შორეულს მანძილზე, რომელსაც საზღვრავს უკანესკნელი 260 ვერსი. ბედის გამოცანა ახლო მომავალში აიხსნის პირბადეს და დაგვანახვებს, ვინ გამოვა ქსენოფონტისა და დამარცხებულ ათი-ათასთა ნაშთის როლში.

IV

ახლა განსახილველად დაგვრჩა ჩვენი საყვარელი მხარე, ლაზისტანი, რაიც ბრძოლის ასპარეზად გარდაიქცა. აზრუმის დაცემის შემდეგ, როგორც ზემოდ ვსთქვით, მთელი ზღვის ნაპირები ჰკარგავენ დასაყრდნობ ბაზას. ტოპოგრაფიულად ეს მხარე ბრძოლის ასპარეზად არ ვარგა. აქ მრავალი შტოთი იფინტება ლაზისტანის ქედისა, ანუ როგორც ეხლა ეძახიან პონტოსის ტავრები. ამ მთების გარდა საძნელო გადასალახველია თვით ჭოროხის ველური ულელტეხილი. არსებითად აქ სამხედრო ოპერაციები შეუძლებელია. პარტიზანული ბრძოლა თუ მოხერდა, ისიც კარგი საქმეა. ამიტომაც ამ მხარეზე აგერ რაერთიხანია ერთმანეთს შეჰყურებდნენ რუსები და ოსმალები და ჩაბიჯის გადადგმას ვერ ჰბედავდნენ. აზრუმის დაცემამ შესცვალა პირობები. ბუნებრივად ახლა ამათ უნდა ეზრუნათ თავისთვის. რუსის მხედრობამ კიდევ დესანტს მიჰმართა. ეს კი საძნელო საქმეს აღარ შეადგენდა მისთვის მას შემდეგ, რაც გებენ-ბრესლაუ ისედაც ბევრ საზრუნავით დატვირთული არიან და აქეთკენ სათარეშოდ აღარ სცალიანთ. საქმე მხოლოდ ადგილის ამორჩევა იყო. ნავთსადგურებში სადესანტოდ ყველაზე უმჯობესი, რა თქმა უნდა, თვითონ ტრაპიზონია, მაგრამ ეს ხომ სასწაული იქნებოდა, რომ იქ მისვლა გაებედნათ. მეორე ხელსაყრელი პუნქტი რიზე გახლავთ. მაგრამ აქაც რუსებმა გვერდი აუქციეს და ისევ პატარათი დაკმაყოფილდნენ: ატინათი. ეს მოხდა 21 თებერვალს. ატინა რიზედან 40 ვერსზეა დაშორებული.

ატინის აღებამ სრულიად გაადვილა ოპერაციის დაწყება რიზეს ასაღებად, რაიც სისრულეში მოიყვანეს კიდეც: სოფ. მანავრის აღების უმალ რიზე თითქმის უბრძოლველად ჩაუვარდათ ხელში. 23 თებერვალს. რიზე ტრაპიზონიდან 60 ვერსითაა დაშორებული.

რიზე, როგორც ნავთსადგური, ყოველ შემთხვევაში, გაჭირვების დროს დესანტის გადასასხმელად ყოველთვისა სჯობიან ატინას, უნდა მოველოდეთ, რომ აქ რუსები განაგრძობენ დესანტით უკვე ხმელეთის ჯარების გაძლიერებას, თუ ამაში ხელი არ შეუშალა ზღვის ღელვამ და ფსკერის უხერხულობამ, რასაც აგვიწერენ გეოგრაფები.

ასეა თუ ისე, რიზეთი გათავდა ჯერჯერობით რუსის დესანტის მოქმედება, რომელსაც აქნობამდინ გემებიც ხელს უწყობდა ოპერაციის განვითარებაში. ეს იქიდანაც სჩანს, რომ 24 თებერვალს, რაც რიზედან რუსის მხედრობამ კალამპოტამოსის მდინარეს მიაღწია, შეჩერდა და დღემდე აღარ წაუწევია. მაშასადამე, ახლა ცოტაოდნად საკითხი იცვლება. საქმე ისაა, რამდენად გააძლიერებენ რუსები აქ გადმოსულ ჯარებს, რა იარაღით აღჭურავენ, რომ ოპერაცია იგი განაგრძონ და ახლა ტრაპიზონზე გადაიტანონ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტრაპიზონი რიზე არ არის, არც თუ ატინა და მას ასე ადვილად არ დაუთმობენ. მეორეც, უნდა დარწმუნებულები ვიყვნეთ, რომ მცირე მხედრობით აქ ვერას გავხდებით მარტო ერთი ფლოტის იმედით და აი რატომ. რიზემდე ქვეითი ჯარს შეეძლო პარტიზანული ბრძოლით საქმე გაეჭირვებინა მტრისთვის, ხოლო ზღვით კიდევ შიშის ზარი დაეცა მისთვის. აქ სურათი იცვლება. რიზედან ფართო ასპარეზი იშლება და ხმელეთის ჯარს ნაპირიდან შორს მანძილზე შეუძლიან საქმის დაჭერა. ამ შემთხვევაში რუსის ჯარებს ფლოტი ვეღარ გაუწევს დახმარებას, ხოლო აზრუმის ჯარების იმედს ვერ იქონიებს, რადგანაც რიზედან იქნობამდე 230 ვერსია და მეორეც მთაგორაკიანი სავალი გზა. ტრაპიზონში მყოფთ კი მრავალი გზა მოეპოვებათ ზღვით და ხმელეთით როგორც ჯარების შესავსებათ, ისე უკან დასახევად. მაშასადამე, გამარჯვება ჯართა გაძლიერებაზეა, თუ ამ მხრივ რუსთა ჯარები აღემატნენ ოსმალეთისას, მაშინ, ცხადია, თვით ტრაპიზონის ბედი მორიგ საკითხთა სიაში ჩაეწერება...

X.

**გორის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების** წესდება უკვე დაამტკიცა გუბერნატორმა. დამფუძნებელი კრება ამ დღეებში შესდგება გამგეობის ასარჩევად.

**საელექტრონო სადგური.** გერმანე გოგიტიძემ მთავრობისაგან ნებართვა მიიღო გამართოს ოზურგეთში საელექტრონო სადგური.

**თანამდებობიდან გადაყენება.** ქუთაისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი სეგალი კავკასიის საექიმო უწყების უფროსმა თანამდებობიდან დაითხოვა.

**ბრალდებულ აჭარელთა დამცველნი.** როგორც ვწერდით, ახლო მომავალში სამხედრო სასამართლო კიდევ გაასამართლებს რამდენიმე ქართველ მაჰმადიანს. ბრალდებულთა დამცველებად ქუთაისის შემდეგი ვექილები გამოდიან: ლ. მ. ქიქოძე, ა. ე. გელაზაროვი, ე. გეგეჭკორი, გიორგაძე და მიქელაძე.

**კოოპერატივი სოფლად.** 29 თებერვალს ს. მუხრანში შესდგა დამფუძნებელი კრება ადგილობრივ მომხმარებელ ამხანაგობისა, რომელსაც 300-დე გლეხი დაესწრო. გლეხებიდან 3 კაცი იქნა არჩეული დროებით ხაზინადრებად ფულის შესაკრებად. როცა 1,200 მანეთამდე შეგროვდება, გამგეობას აირჩევენ. მუხრანში 500 კომლი მცხოვრებია. დღემდე მთელი სოფელი მოსულ ჩარჩების ხელში იყო. გლეხები ისე ჰყავთ შებოჭილი ამ ჩარჩებს რომ ეხლა ხაზინადრრებად კინაღამ ისინი აირჩიეს, რომ ხრიკები არ ჩაეშალა რამდენიმე შეგნებულ გულშემატკივარს. ადგილობრივი ინტელიგენცია ერთობ ფხიზლად უნდა იყვეს, რომ ეს ახალი საქმე ჩარჩებს არ ჩაუვარდეს ხელში.

**კბილის სამკურნალო დეპო.** კბილის ექიმებმა ვ. ი. ჭიჭინაძემ, ი. ფედოტოვმა და ნ. ი. კამაევმა შუამდგომლობა აღძრეს თბილისის გუბერნატორის წინაშე თბილისში კოოპერატიულ საზოგადოების დაარსების შესახებ „კავკასიის კბილის სამკურნალო დეპო“-ს ფირმით.

**ბ-ნი კ. ფოცხვერაშვილი** ბაქოდან თბილისში დაბრუნდა. წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა იწვევს მას კონცერტი გამართოს სახაზინო თეატრში, წმინდა შემოსავალი გადიდება ქართველთა პანთეონის თანხის გასაძლიერებლად.

**სამხედრო ბეგრის მოხდა.** გენერალურ შტაბთან არსებულ კომიტეტისაგან, რომელიც სამხედრო ბეგრის საქმეს განაგებს პეტროგრადში შემდეგი მოწერილობა მიიღო თბილისის ქალაქის სამხედრო ბეგრის საკრებულომ იმ პირთა შესახებ, რომელნიც საომარ ნივთიერებათა დასამზადებელ ქარხანა-დაწესებულებაში მსახურებს. კომიტეტი სწერს: 1. თუ ის ყმაწვილკაცები საომარ ნივთიერებათა დასამზადებელ დაწესებულებიდან გამოვიდნენ და თავი დაანებეს სამსახურს, მაშინ იგინი უფლებას ჰკარგავენ სამხედრო ბეგრის მოხდის დროს მინიჭებულს და ჯარში უნდა იყვნენ გაწვეულნი. 2. თუ იმ დაწესებულებიდან, სადაც მსახურებდნენ ეს ყმაწვილკაცნი სხვა ამ გვარივე დაწესებულებაში სურთ გადასვლა, მაშინ სამხედრო უფროსს (воинскій начальникъ) უნდა მიმართონ თხოვნით. ამასთან ერთად კომიტეტი აფრთხილებს სამხედრო ბეგრის საკრებულოს ძლიერ ფრთხილად და გულდასმით გადაათვალიეროს სიები ამ ახალგაზრდათა გაწვევის დროს სამხედრო სამსახურში, რომ არ იყვნენ სიებში შეტანილნი ისეთნი, რომელნიც არა მსახურებენ ამ ნაირ დაწესებულებებში და სამხედრო ბეგრის მოსახდელად შეღავათი არ ეძლევათ. დასასრულ გენერალურ შტაბთან არსებული კომიტეტი აცნობებს თბილისის სამხედრო ბეგრის საკრებულოს, რომ კომიტეტს მისვლია აუარებელი საჩივრები სხვა და სხვა კუთხიდან, სადაც პირდაპირ სჩივიან, რომ სამხედრო ბეგრის საკრებულოები ანთავისუფლებენ ისეთ პირებს, რომელნიც სრულიად არ მსახურობენ საომარ ნივთიერებათა დასამზადებელ ქარხანა-დაწესებულებებშიო და შეღავათი კი ეძლევათ სამხედრო ბეგრის მოხდის დროსაო.

**ბიბლიოთეკა-სამკითხველოს კურთხევა.** ამ დღეებში აკურთხეს ახლად დაარსებული საფოსტო-სატელეგრაფო უწყების ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელიც მოთავსებულია ცენტრალურ ფოსტის სადგომში.

**იურიდიულ საზოგადოების** უკანასკნელ სხდომაზე საოლქო სასამართლოს წევრმა ა. ა. კრასოვსკიმ მოხსენება წაიკითხა ხელზე მოსამსახურის დაქირავების შესახებ. თავის მოხსენებაში ბ-ნ კრასოვსკიმ მოიხსენია რა მსახურთა უმართებულო ქცევანი მოახსენა კრებას რომ კანონით იგინი პასუხს არ აგებენ დამქირავებლის წინაშე ქონებით. საჭიროა ამიტომ პირადი პასუხის ჯარიმით ან დაპატიმრებით. ამისათვის სადისციპლინარო სასამართლოს დაარსებაა საჭირო, ხოლო უფრო რთული დანაშაული სასამართლოს უნდა გადაეცეს. რეფერენტმა საგულისხმიერო კამათი აღძრა კრებაზე; კამათში მონაწილეობა მიიღეს ნაფიც ვექილებმა ვ. ლ. დემიდოვმა, ა. ა. ცეიტლინმა ბ. მ. ბროდსკიმ მ. ნ. ანდრეევმა და სხვ. დასასრულ მოსმენილ იქმნა საპატიო წევრის ა. ფ. კონის სამადლობელი წერილი, რომელიც მადლობას უძღვნის იურიდიულ საზოგადოებას თვის 50 წლის მოღვაწეობის მილოცვაზე და სიამოვნებით იგონებს საუცხოვო დროს გატარებულს ტფილისში 1895 წელს.

## სახელმწიფო სათათბირო

3 მარტის სხდომა

**თავმჯდომარეობს ვარუნ-სეკრეტი.** განსახილველია 86 დეპუტატის წინადადება შესახებ წვრილ საერობო თვითმართველობის შემოსაღებად კანონპროექტის შემუშავების საჭიროებაზედ.

**სტემპკოვსკი.** ეს წინადადება განმეორებაა იმ კანონპროექტისა, რომელიც სათათბირომ მიიღო ხუთი წლის წინეთ, მაგრამ არ განხორციელდა. ეხლანდელი ერობა, რომელიც ფართო სამაზრო რაიონებზედ ემყარება, უკვე ველარ აკმაყოფილებს ცხოვრების მოთხოვნილებებსო.

**გრონსკი.** სათათბირო ამ წინადადების მიღებით იმ შეცდომას გაასწორებს, რომელიც სახელმწიფო საბჭომ ჩაიდინა, როდესაც სათათბიროს კანონპროექტი უარჰყო. წვრილი საერობო ორგანიზაცია თვითმართველობის საფუძველიაო, დასძენს ის.

**სკობელევი** რამოდენიმეჯერ გააფრთხილა თავმჯდომარემ, შემდეგ სიტყვაც წაერთვა. სკობელევის სიტყვა თავმჯდომარის ცენზურამ არ გაუშვა.

**შინაგან საქმეთა მინისტრის** წარმომადგენელი ჰპირდება სათათბიროს, რომ სამინისტრო მოკლე ხანში შეიმუშავებს ამის შესახებ კანონპროექტს და სათათბიროს წარუდგენსო.

**ჩხენკელი** სიტყვას იწყებს, მაგრამ რამოდენიმე გაფრთხილების შემდეგ იმასაც აჩერებენ. მისი სიტყვაც ვერ გამომჟღავნდება.

**მარკოვი 2** მწუხარებას გამოთქვამს, რომ სამინისტრო ასეთს დროს პროექტების შედგენაზე ფიქრობს და არა მტერთან ბრძოლაზე.

**თ-დი ვოლკონსკი** (მინისტრის ამხანაგი) უპასუხებს: სწორეთ მტერთან ბრძოლის მიზნით, მთავრობა ამ საკითხის მოგვარებას დაუყონებლივ შეუდგებაო.

**გრაფი კაპნისტი.** საერობო მოღვაწეთა ფრაქცია სავსებით უჭერს მხარს სამხედრო კანონ-პროექტს.

სათათბირო წინადადებას ერთხმად ღებულობს.

სათათბირო ისმენს **საქალაქო საქმეების კომისიის მოხსენებას** შესახებ საქალაქო თვითმმართველობის რეფორმასა.

**არსენიევი.** კომისიის მომხსენებელი ამბობს კომისიამ, არამც თუ საჭიროდ არამედ აუცილებელ საჭიროებად აღიარა საქალაქო დებულების რეფორმაო. ის აღნიშნავს იმ მოვლენას, რომ ძველი საქალაქო დებულება ცხოვრებას უკვე ველარ აკმაყოფილებს და შეცვლას მოითხოვსო. კაპიტალისტური წყობილება, რომელიც ქალაქში დიდძალ ხალხს უყრის თავს, მოითხოვს დღევანდელი საქალაქო თვითმმართველობის ზღუდეები გაფართოვდესო.

**ევტიფეევი** სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს, ასეთი ცვლილებები სამინისტროს განზრახული აქვს. სამინისტროც იმ აზრისაა, რომ საარჩევნო უფლება გაფართოვდეს და სახლის პატრონთა გარდა ბინის მოქირავნეთაც უნდა მიენიჭოს საარჩევნო უფლება. ქალებისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია აქტიური საარჩევნო უფლების მინიჭებაო.

სათათბირო ერთხმად აღიარებს თერგის ოლქში ერობის შემოღების საჭიროებას. სათათბირო აღიარებს ციმბირში ერობის შემოღებას. ამის შემდეგ აღიარებული იქმნა კაზაკთა ოლქებში ერობის შემოღების საჭიროებაც.

## თურქესტანის მდგომარეობა

გაზეთ „სოზ“-ში ამ სათაურით დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი, რომელიც უცვლელად მოგვყავს:

„თურქესტანზე“ რომ ლაპარაკს დავიწყებთ, მაშინ თვალწინ გვეშლება მშვენიერი დ ნაყოფიერი მხარე, განცხრომის მხარე დასახლებულია უზრუნველი მფლანგველებით, რომელთა მამულ-დედული უცხოელთა ხელშია ჩავარდნილი, რის გამოც თვითონ მთელი ეს ხალხი, თითქმის ათ მილიონამდე, მათ მოსამსახურედ გამხდარან.

თურქესტანში დედაკაცთა შევიწროება იმ ზომამდე არის მისული, რომ დღემდე იმათთვის არა თუ სწავლა არ არის შეწყნარებული, არამედ სწავლის სახელის მოსმენაც კი თვით ჩაგრულთათვის არ უსურვებიათ. ბევრს მათგანს სწორედ სწავლის დაწყების დროსა, 9 წლიდან მოყოლებული მესამე ცოლად ათხოვებენ.

აი, ამიტომაა, რომ ხშირად 12—14 წლის ჯერ კიდევ დაუსრულებელ გოგონას შეხვდებით ძუძუმწოვარა ბავშვით ხელში, იგი ისევ უზრუნველია, უდარდელი, საბავშვო სათამაშოებით მოხიბლული, აქა-იქ ქუჩაზე შეჩერებული, რომ რაიმე სანახაობით გაერთოს, დასტკბეს.

თურქესტანის ადგილები მეტად მოსავლიანია. აქ ბამბა, ბრინჯი, სიმინდი, იონჯა, ქერი და ბევრი რამ, ბარაქიან მოსავალს იძლევა, განსაკუთრებით სარგებლიანია ბამბა. მარტო ერთი დღიური წელიწადში 700 მანეთის მოსავალს იძლევა, ბრინჯი 600 მანეთისა, ამისათვის აქ უფრო ბამბასა და ბრინჯს სთესავენ. ხოლო ცოტა უვარგის ალაგებში: სიმინდი, იონჯა, ქერი და მუხუდო ითესება. თურქესტანის მხვნელ-მთესველებს, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 5 და 10 დღიური მაინც ექნებათ. მაშასადამე, წლიურად მემამულეთ კარგა უნდა დარჩენოდათ, მაგრამ ეს არ ხდება. თურქესტანის მცხოვრებნი უსწავლელნი არიან, ამიტომაც ვერ უსარგებლიათ ამ მამულით. უმრავლესობა ბამბას წინდაწინ ჰყიდის, თითქმის მუქთად არიგებს. ვაჭრებიც ამით სარგებლობენ, ბოროტად იქცევიან და ამ ხალხის ნაჭირნახულევი მიდის, უბრალოდ იკარგება.

თურქესტანს წვიმის მოთხოვნილება არა აქვს და არც იმისთანა წელიწადი იქნება, რომ მიწამ ნაყოფი არ გამოიღოს. ამისათვის თურქესტანის მხვნელ-მთესველი გლეხობა განაპირა სოფლის მემამულეებზედ ნივთიერად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. მცხოვრებთა უმრავლესობა, სოფლის ხალხი მდიდარია, ასე რომ, იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყნის ხალხი დღევანდელს სიძვირეზედ სჩივის, აქ სიძვირეზე დღესაც კრინტი არავის არ დაუძრავს. მასთან ერთად ვაჭრობა კარგადაა დაყენებული თურქესტანში; ფარჩეული, ჩაი, საბაყალო, საწვრილმანო და სხვა...

თურქესტანიდან გარედ გატანილი ბამბის წლიური შემოსავალი უდრის 96.500,000 მანეთს. ვაჭრობა განსაკუთრებით ებრაელებისა და სხვა მექარხნეების ხელშია.

როგორც სხვა ადგილებში ისე აქ ჩვენი სარწმუნოებრივისა და სწავლის დამაკმაყოფილებელი კულტურული და განმანათლებელი საზოგადოებანი არ არსებობს. თურქესტანის ხალხი. რაკი ერთთავად ცალკე-ცალკე, გაბნეულ ცხოვრებას ჩვეული არიან, სარწმუნოებრივი იქნება ის საქმე თუ მეცნიერული, კომერციული თუ ეკონომიური სწავლა-განათლება მძიმედ მიდის.

## ქალაქის სასაკლაო

გასული წლის ქრისტეშობისთვეში თბილისის საქალაქო სასაკლაოზე დაკლულა სულ 31,946 სული წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი, მათ შორის ხარი და ძროხა 5,286, მოზვერ-დეკეული—1,293, ხბო—223, კამეჩი—3,098, ცხვარი—12,985, ?ატკანი—130, ღორი—5,110, გოჭი 3, ცხენი—3. ბაზარზე გამოუტანიათ სასაკლაოდან გასაყიდად იმავე თვეში 43,698 ფუთი ძროხის ხორცი, 34,078 ფუთი კამეჩისა, 14,625 ფ. ცხვრისა და ხბოსი, 19,414 ფ. ღორისა და 244 ფ. და 34 გირ. ფრეიბანკიდან მოხარშული, სულ 111,986 ფ. და 34 გირ. ბეითლებს მოუსპიათ უვარგისი ხორცი: 325 ფ. 1 გირ. ძროხისა, ხბოსი—1 ფ. და 5 გირ., ცხვრისა—12 ფ. 20 გირ. და ღორისა—499 ფ. 31 გირ. სულ 838 ფ. 17 გირ. ყასბებს მიუღიათ ჩამორთმეულ ხორცში 2,965 მ. 17 კაპ დასაზღვევ პრემიად.

სასაკლაოს სალაროს ჰქონია იმავე თვეში შემოსავალი დასაკლავ გარდასახადიდან 16,320 მ. 38 კ., ღორების გასასინჯ გადასახადიდან—2,565 მ. და დასაზღვევი გადასახადიდან—3,332 მ. 9 კაპ.

მდგომარე წლის იანვრის თვეში საქალაქო სასაკლაოზე დაკლულა 22,855 სული მსხვილ და წვრილფეხა საქონელი, მათ შორის: ხარი და ძროხა—4,192, მოზვერ-დეკეული—887, კამეჩი—2,344, ცხვარი—6,850, ხბო—245, ბატკანი—638, ღორი—4,252, გოჭი—16, ცხენი—2. სასაკლაოდან ბაზარზე გამოუტანიათ გასაყიდად 3,2969 ფ. ძროხის ხორცი, 25,784 ფ.—კამეჩისა, 7,531 ფუთი ცხვრისა და ხბოსი და 1,664 ფ.—ღორისა, სულ 67,948 ფ. ფრეიბანკიდან გამოუტანიათ ბაზარზე მოხარშული ხორცი 106 ფუთი. ?ეითლებს მოუსპიათ უვარგისი ხორცი: 282 ფ. 9 გირ. ძროხისა, 3 ფ. 29 გ. ხბოსი, 385 ფ. 38 გ. ღორისა, სულ 671 ფ. 36 გირ. უვარგისს და ჩამორთმეულ ხორცში ყასბებზე გაუცია საქალაქო სალაროს 2,322 მ. 9 კ. დასაზღვევი პრემია.

სასაკლაოს სალაროს შემოჰსვლია იმავე თვეში 12,077 მ. 84 კ. დასაკლავ გადასახადიდან, 2,135 მან. ღორების გასასინჯ გადასახადიდან და 2,719 მ. 40 კ. დასაზღვევ გადასახადიდან.

## რუსეთის სინამდვილიდან

სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეთა ყრილობაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა ბოროდევსკიმ, ვაჭრობის განყოფილების გამგის თანაშემწემ.

ეს ოფიციალი პირი თავის მოხსენებაში იმ აზრს იცავდა, რომ რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა, განსაკუთრებით მისი სოფლის მეურნეობა, მოითხოვდა გერმანელებთან მშვიდობიან ვაჭრობის განმტკიცებას და გერმანეთის სრული განადგურება, ან მის ძალზე დამცირება რუსეთის მისწრაფების საგანს არ უნდა წარმოადგენდესო. გერმანეთის გარიყვა, მომხსენებელის აზრით, ხელოვნურ კედლის აგებას ნიშნავს გერმანელებსა და რუსებ შორის, ეს კი აუტანელი იქნება რუსეთის სასოფლო მეურნეობისათვის, რადგანაც რუსეთის მთელი ექსპორტის ერთი მესამედი გერმანეთში მიდიოდაო. ასეთს პირობებში რუსეთსა და გერმანეთს შორის კედლების აშენება ძნელი საქმეა ან სად უნდა ჰპოვოს რუსეთმა თვისი მუშტარიო. მთავრობის ოფიციალი პირის ასეთმა ჰანგებმა დამსწრეთა შორის ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია მით უმეტეს, რომ რუსეთის ზოგიერთ სფეროებში აშკარა გერმანოფილური მიმდინარეობაა და ერთნაირი კავშირი დაინახეს ბ-ნ ბოროდევსკის კილოსა და ამ ზოგიერთ წრეში არსებულ გერმანოფილურ მიმართულების შორის. ბ-ნი ბოროდევსკი იძულებული გახდა ეთქვა, რომ ეს მისი პირადი ბოროდევსკის აზრი იყო და არა ოფიციალი პირის, ვაჭრობის განყოფილების გამგის თანაშემწისაო. ამ განცხადებამ მაინც ვერ გაჰფანტა შექმნილი ატმოსფერა უკმაყოფილებისა. გერმანეთის გარიყვის წინააღმდეგ ილაპარაკა აგრეთვე პროფესორმა ტუგანბარანოვსკიმ და იგივე მოსაზრება წამოაყენა, რაც ბოროდევსკიმ. სხვებმა, რომელთა შორის ერთი თავადი ორბელიანიც ურევია, ამ დებულების წინააღმდეგ გაილაშქრეს. რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ ბოლო დროს თანდათან აშკარავდება ერთგვარი გერმანოფილური ტენდენცია—რომელიც ზოგის თვალში წმინდა ეკონომიურ მოსაზრებით არის დასაბუთებული; ზოგი კიდევ მას სხვა მოსაზრებით და მიზნით ასაბუთებს.

Pierre.

## მაჰმადიანთა ცხოვრება

გაზეთ „თარჯიმან“-ში მოთავსებულია შემდეგი წერილი: „მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სალამი ბრძოლის ველიდან, საყვარელნო ძმანო, ჩვენ ძალიან მოხარულნი ვართ და დიდის სიამოვნებით ვკითხულობთ თქვენ მიერ გამოგზავნილ პატივცემულ მშობლიურ გაზეთს, სალამი ყველა ნათესავთ და თანამგრძნობთ.

წერილი დაწერილია თხრილებში.

— თბილისიდან ატყობინებენ გაზ. „კასპი“-ს რომ ამას წინად გენ. თამამშევმა გასცა ბრძანება შეკრიბონ ცნობები ყველა გამოქცეულ მაჰმადიანთა და დაუყოვნებლივ აცნობონ მას. ბაქოს მაჰმადიანთა მომხმარებელ საზოგადოებამ სისრულეში მოიყვანა გენ. თამამშევის ბრძანება და დაწერილებით იქმნა შეკრებილი ცნობები და მათი რიცხვი, რომელნიც მათ საზოგადოების მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. ახალციხის მხარეს 400 გამოქცეული მაჰმადიანი იმყოფება. ბათომიდან ატყობინებენ ექ. სულთანოვს თქვენ მიერ გამოგზავნილი ხოისის მხარეს თბილეული, შაქარი და სხვა სანოვაგე მივიღეთ და უკვე დაურიგეთ გადმოხიზნულ მაჰმადიანებს.

— ყარსიდან ატყობინებენ გაზ. „კასპი“-ს ბაქოს მომხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწე ალიხან კანტიმირი დაბრუნდა, რომელიც ამას წინად სარიყამიშს გაემგზავრა გამოქცეულ მაჰმადიანების დასათვალიერებლად. საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწემ განჯის სხვა და სხვა მხარეს გაამგზავრა 200 გამოქცეული მაჰმადიანი. ალიხან კონტიმირმა ვერ მოასწრო გამოსვლა სარიყამიშიდან, რომ ოლთიიდან მიიღო დეპეშა და აუწყებდნენ შავი ზღვის სანაპიროდან მოაწყდა მრავალი გამოქცეული მაჰმადიანებიო. თხოულობენ უმწეოდ არ დავტოვოთ ისინი და აღმოუჩინოთ დახმარებაო. კანტიმირმა მიიღო თუ არა ეს ცნობა დაუყონებლივ აცნობა ყარსის მომხმარებელ საზოგადოებას და სთხოვა დახმარება. საზოგადოებამ შეიწყნარა თხოვნა და გაუგზავნა 6000 მან.

— თბილისიდან ატყობინებენ გაზ. „ენი იღბალს“ მაჰმადიანთა ერთმა მოწინავე ჯგუფმა განიზრახა თბილისში დაარსოს სალამოს კურსები მაჰმადიანებისათვის. შეიმუშავეს პროგრამა და წარუდგინეს ნებართვისათვის სასწავლებლების უფროს. ამ მოკლე ხანში დაიქირავებენ შენობას და მოიწვევენ მასწავლებლებს.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. | მ. | 9 | 8.53 | სალ. |
| „ | საფ. | „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. | „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი | „ | 4 | 10.20 | სალ. |
| „ | ჩქარი | „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. | „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. | მ. | 4 | 9.30 | სალ. |
| „ | სამგ. | „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. | „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი | „ | 5 | 7.41 | სალ. |
| „ | სამგ. | „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. | „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. | „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 | ს. 58 | წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 | „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 | „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 | „ 42 | „ | „ |
| იორიდან | 11 | „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 | „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 | „ 15 | დღის | |
| მელაანიდან | 2 | „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 | „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 | „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის | 5 | „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 | „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან | 4 | „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 | „ 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 | ს. 58 | წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 | „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 | „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან | 12 | „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 | „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 | „ 15 | „ | „ |
| იორიდან | 2 | „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 | „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 | „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 | „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 | „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 | ს. 16 | წ. | დილ, |
| კარდანახიდან | 9 | „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 | „ 16 | „ | „ |


# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი** 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр № 8. შემოსავლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთნა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან ჟურნალში. **ოზურგეთში** დ **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გოშელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი **თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

წიგნის მაღაზია

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძიძიგურები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზაფხულის შესახვევი № 4.